მარსიანი

ლიროელექტრიკა

თბილისი - 2010

კრებულში შესულია მარსიანის სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსები. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ფაქტია, იგი ავტორის პირველი პოეტური კრებულია.

გათვალისწინებულია ავტორის ნიჭის თაყვანისმცემლებისთვის. თუმცა იმედი გვაქვს კრებული მარსიანის პოეზიას ბევრ ახალ მკითხელს შეძენს.

რედაქტორი: იკა ქადაგიძე

© მარსიანი, 2010

თანამედროვე ხელოვნების დიდოსტატი

ეს კრებული აუცილებლად უნდა გამოსულიყო, დიახ, აუცილებლად უნდა გამოჩენილიყო ვინმე ღვთისნიერი, რომელიც გამოსცემდა მარსიანის ლექსების წიგნს, სხვანაირად არც შეიძლებოდა! მე კი ყოველთვის მწამდა, რომ მარსიანი — უაღრესად მრავალმხრივი ხელოვანი — უპირველეს ყოვლისა — პოეტია, დიდებული პოეტი: წინამდებარე კრებული დამაჯერებლად ადასტურებს ამ შეხედულების სისწორეს.

დანამდვილებით ვერავინ იტყვის, თუ რა არის პოეზია, თუ როგორი უნდა იყოს დიდი პოეტი, მაგრამ არსებობს გრძნობა (რომელზედაც ხშირად მისაუბრია), ხოლო გრძნობა ისეთი რაღაცაა, რომ, თუ გაგვაჩნია იგი, ჩვენ შევიცნობთ ადამიანში ნამდვილ პოეტს. აი ასეთი ჯადოსნური რამაა პოეტური გრძნობა!

და უცნაური ინდივიდია, ზოგადად, პოეტი: ის შესანიშნავად წერს, მაგრამ შეიძლება სულაც არ წერდეს, ან — წერდეს ცუდად (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე მოგვეჩვენოს), მაგრამ იგი მაინც საოცარი სიმაღლე იყოს სწორედ პოეტური გაგებით! ასეა, — უფალივით მიუწვდომელია სიტყვა, გამოუცნობნი არიან სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატები...

თუმცა მარსიანის შემთხვევაში მთლად ბუნდოვნადაც არ არის საქმე: იგი, უბრალოდ ვიტყვი, შესანიშნავად წერს. თუ ოდნავ მაინც მოინდომებს ადამიანი, ჩაწვდეს მის ნაწერებს, ამ კაცში დიდ ხელოვანს ადვილად შეიცნობს, მიუხედავად იმისა, რომ მარსიანს უყვარს რთულად წერა.

მარსიანის მრავალფეროვანი ლექსები ადრიდანვე მაოცებდა ფორმით, სირთულით, შინაარსით (თუმცა აქვს ზაუმური ქმნილებებიც, რომლებშიაც რაიმე კონკრეტული შინაარსის პოვნა ძნელია), იგი ოსტატურად ქმნის სონეტებსა თუ ტრიოლეტებს, სუპერავანგარდულ თუ ტრადიციულ ლექსებს... და მაინც, უპირველეს ყოვლისა, მარსიანი ექსპერიმენტების ოსტატია — ტრადიციულ ნახატებსაც კი (ამ შემთხვევაში ნახატებში ლირიკული ნიმუშები ვიგულისხმე) იგი თითქოს არცთუ ტრადიციული ფერებით ხატავს. მას უყვარს სიახლე, თუმცა არაა ძველის მტერი.

მარსიანი ოთხმოციან წლებში გამოჩნდა ქართულ ხელოვნებაში. იგი ადრე დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ქუთაისში მოღვაწეობდა, ჩვენს დედაქალაქში მოგვიანებით ჩამოვიდა თავისი ხელოვნების წარმოსაჩენად. მე კარგად არ ვიცნობ დღევანდელ დასავლეთ-ქართულ პოეზიას და არ ვიცი, დარჩა თუ არა იქ მარსიანის დონის სხვა ხელოვანი. ხოლო გიორგი კორნაპელი რომ ცოცხალთა შორის აღარ არის, თუნდაც მარტო ამ ფაქტმა, ვფიქრობ, ძალიან დააზარალა დასავლური(ქართული) პოეზია.

მარსიანის კრებულში წარმოდგენილ ნაწარმოებთა შორის მე ვნახეა თავისი ფორმა-შინაარსით, არამედ მასთან დაკავშირებული ერთი პატარა ისტორით.

საქმე იმაში გახლავთ, რომ მარსიანი მუშაობს «კავკასიურ სახლში», სადაც მის გარდა სხვა ნიჭიერი მწერლებიც არიან თავმოყრილი. და აი, სწორედ ამ ხალხს გააცნო მარსიანმა თავისი ლექსები, მათ შორის «ელორაც». პირდაპირ ვიტყვი — მაშინ ამ ლექსებმა ვერ მოიპოვა სათანადო დაფასება. მეტიც — რატომღაც ისე მოხდა (მგონი თვით მარსიანის ინიციატივით),

რომ «ელორა» შეპირისპირებულ იქნა გიორგი ბუნდოვანის სულ სხვა განწყობა-ხასიათის ლექსთან «რღვევიდან რღვევამდე» (ესეც კარგი ქმნილებაა — ამას არ უარვყოფ), ბოლოს კი კამათი სულ სხვა კუთხით წარიმართა: იგი შეეხო მარადიულ ქართულ თემას გალაკტიონისა და გრანელის (აგრეთვე სხვათა) ერთმანეთთან დაპირისპირების შესახებ! მოკლედ, აბსოლუტურად განსხვავებული მდინარე აბსოლუტურად განსხვავებულ ზღვას შეუერთდა, ხოლო ამ არეულობაში შეუმჩნეველი დარჩა «ელორას» მაღალი ლირიკულობა, ღრმად ტრაგიკული ელფერი, მისი გულისმომკვლელი, რთული, თანაც ზეშთაგონებული სილამაზე. გულწრფელად მაინტერესებს, შეუქმნიათ კი ოდესმე «კავკასიურ სახლში» მომუშავე პოეტებს «ელორაზე» დიდი, ან თუნდაც მისი ბადალი ლირიკული ნაწარმოები?..

მოკლედ ვიტყვი, მარსიანი არის ხელოვნების ჭეშმარიტი ოსტატი, ანუ დიდოსტატი, მAაგრამ იგი, ისევე, როგორც გიორგი კორნაპელი, მომავლის ხელოვანი უფროა, ამიტომ ძნელი სათქმელია, მიაღწევს თუ არა სიცოცხლეშივე დიდ აღიარებას, თუმცაღა ისეთი შეუპოვარი პიროვნების შემთხვევაში, როგორიც მარსიანი გახლავთ, არაფერია გამორიცხული...

სერგი ლომაძე
პოეტი, ჯგუფ «ზღვარის» წევრი

ანამაისი

დელგმაში, თქეშში არსად არის მიმღები ჭერი, ხარ უსაფარი, სველი, უმწეო და უსახლკარო, როცა ბობოქრობს ბებერი ზევსი პირცეცხლიანი, სახლი არა გაქვს, ციცინათელავ, და წვიმა გაქრობს. შეუბრალებლად გაქრობს წვიმა, მე მოგცემ ჩემს სახლს, თუკი ინებებ, მაგრამ როგორ უნდა ინებო, როცა წყევლად გდევს უსახლკარობა, მიუსაფრობა და ცა მრისხანებს, რისხვითა და წყევლით აივსო და გაქრობს წვიმა, მობუზულხარ, ციცინათელავ, ვერ გადარჩები, სახლი არ გაქვს, ანამაისო!

* * *

ვერ გამექცევი ვიცი
შენი ნაწნავი მწიფე
კბილ-მოკრიალე სიცილს
ციცინათელა მიფრენ
შენს მწიფე ნაწნავს ციცი —
ვკოცნი, კისერზე ვიხვევ
ვერ გამექცევი ვიცი
საკუთარ ჭუპრში იწვი
ანამაისი psyche

* * *

მეფეთა ხმელი ხის ნორჩო ყლორტო კვლავაც თუ გივის ფესვი ცოცხალი ამ ჩემი სისხლით ეგების მოვრწყა დაუნანებლად ბრძანე მომკალი

დაუნანებლად გამიხსენ ძარღვნი რომ გაუშეშდეს ტალღები ლეთას და ულმობელი ალერსით შესვი ფიცხელი წვენი მეწამულ მზეთა.

* * *

გამოფრინდები ჭუპრით
სასტიკ პეპლობის თვეში
ღამე რომ გმინავს კუპრი
და მეცხრე ტალღის თქეში
ჟამი ნდომის და შეშლის
ვამპირთ სისხლიან სუფრის
ღამე რომ გმინავს კუპრი
და თვითმკვლელობის სიცხე
გამოფრინდები ჭუპრით
ანამაისი psyche

* * *

მე არ შემეძლო შენი მოკვლა, ანამაისო...
როდესაც ზეცა შენზე რისხვით აღდგა, აივსო
აპოკალიფსურ ხმით წყევლისა — შენ შემომხედე
ათი წლის გოგოს გულუბრყვილო, წმინდა თვალებით —
გაუსაძლისმა, კოსმიურმა იღმუვლა სევდამ,
ჩამოილეწა ჩემი სულის ღრმა ნაპრალებში
და დრო გაჩერდა...

მე არ შემეძლო შენი მოკვლა, ანამაისო!
თუმცა კი ეჭვი დამწყვდეული ლომივით ბორგავს,
მღვრიეა ღამე და აისიც აღარ აისობს
და სინანული გადაუვლის სულს ნიაღვარად —
რომ სხვათა ბუდეს შეეხიზნე, სხვა ზეცა გფარავს
და რომ შენს ტაძარს შერჩა მხოლოდ აჩრდილთა როკვა!

... ანამაისო, არ შემეძლო მე შენი მოკვლა...

შორით ფიქრი ლორდ ბაირონზე

(ივერ მინდელის წართქმა)

ეს სამწუხაროა ფრიად:
ქალზე ლამაზია ვაჟი;
ქალს ირემ-ჩევორტი ჰქვია,
ნისლი ურევია თმაში

ქალს შთააგონებდა ვაჟი:
«მედგრად შევცურდები ზღვაში;
სიკვდილთან ძმობა ჰგონიათო
მედგრად გადაცურვა ზღვების,
მე მინდა აგაფორიაქო,
მინდა გაგიღვივო ფრთები».

ეს სამწუხაროა ფრიად...

როს განვიძარცვე

(ანამაისი ბაგრატიონის წართქმა)

ცისფერი ლურჯი სამყაროები
სივრცე უსაზღვრო და მიუვალი
მაღალ-ღრუბელნი სალვადორ დალის
                  და ამაოება

როს განვიძარცვე და უკუვჰყარე
მე სადედოფლო ელვარე ქოში
პრეისტორიის ძახილი მესმა
            ლურჯ უდაბნოში...

ნარკორგიასტული სონატა

ჩუმი ჭრიჭინი
ცახცახებენ ჩრდილნი მთვარეში
ჰაშიშიშინით ივსება ღამე
ჩაიმუღამებს ბრმა ღამურა ბნელთა ფარეში
ულტრაბგერები იზანზარებს ყრუ მიდამოში
ვიღაც ჩაივლის
მდუმარეთა ქვითინს წამოშლის
ეშურება მწირი ნაზარეთს
აღდგინებული კაიფარი ხვნეშის ლაზარე
გამოვედ გარე
იუდანი კაიაფანი
და პილატენი პითონივით აშიშიშინდნენ

შენ არ შეშინდე
შეშლილია თუმცა მარიამ
ქერა იესო სიზმარია და პლანაქეში
და ჩუმთვალება ფელიჩიტა ეჩუმალება
ეღიტინება ტვინის ქერქში მთვარის ამბორი
ბურუსი თბილი მოტიტინე ფაჩუჩოვანი
ჯოვანი ჩვენი ნათლისმცემელ და მიამიტი
მარტის ამინდი კატებისთვის არის მისწრება
თიმთიმებს თომა აქვინელის უკვდავი მძორი

ლანდების წყება
ქართველები იტალიაში
დანა მუცელში ყელში გულში და იღლიაში
უგო
ტერეზა
დომენიკო
ანა-მარია
სმერალდა პეპლოს
რემედიოს
ანამაისი
ქერა იესო ქარი არის და სიზმარია
ქარაგმა ჩრდილთა მოვანება არარაისი

ჩუმჩუმებს მთვარის
მონანავე თბილი ანფასი
ბნელია კვერცხთა ქვენაარსი
ბუდე ნაჭუჭი
არხი
სავალი
ფურჩალებმა რაც უნდა მალოს
მაინც იგზნება იეღოვას ნაკურთხი ჩუჩა
და პლანეტების დასარბევად ამოდის ფალლოს

მოგეზმანება გველი
ნაზი მწვანეთვალება
სიკვდილ-სიცოცხლის ფერი — სინთეზი
თევზის დუმილი პლანეტების წრიალს წალეკავს
მაგრამ აქ
            გონგი
            და კინგ-კონგი
            ურო კისერში
            გრუხუნი
            ბანი
            ურაგანი
            და ვერლუგანი
            ო არ უგანო
            ჰეი Lonza
            ეულალია
სივდება მთვარე
მალალია გარსი ნატიფი
გახეთქავს წნევა
დაირწევა სამყაროს ტანი
უუმთვარესი სინათლეა და სიმთვრალეა
ო ნათელია სილუეტი მთვრალი სატანის

და მეწამული შმაგი არესი

სელენას წიაღს სელექციური
სიამით ავსებს — სტილეტს ალესილს
ჰგავს თვალთა მისთა სხივი ციური
მყუდრო სენაკსაც ზარავს ორგია
ავად ბრიალებს ცოდვის ლამპარი

ორმაგ კარს იქით ცივი მორგია
გადაგიმალავს იქ წინაპარი

მერე ცხედრებიც დაარღვევენ ნაკისრ სიჩუმეს
სურვილის ხოჭო უხაჭუნებს ტვინის მკვდარ მინდორს
და არ არს არსით თავშესაფარი
ფაჩუნობს
მათი ფითრი მწკრივი — სახსართა ჩქამი
ატორტმანება
რიტმი მთვარის არვის არ ინდობს
ჩონჩხთა პირუეტს აზვირთული მოსავს ფაფარი

ზმანება იგი გასტანს დილამდე
უზრუნველია ნება ჰაშიშის
დილამდე კარტებს უშლის პილატე
სააღსარებოდ მოსულ ვაჟიშვილს
ღვთისას მოუსმენს შრიალს მავანი
გადაფითრებულ მწვანე ღამეში
ამბობენ მთვარის ჩრდილი მავნეა
დრაკონი ჩანთქავს მთვარით გალეშილს

მაგრამ თენდება
ითენთება ჩრდილთა სიმძაფრე
წამოიყივლებს ხაფად მამალი
დამალეთ ტანი
სამოსელთა ბრჭყვინვა ისაფრეთ
მზეს მოარიდეთ ნასიზმრევი ჩუმი თვალები
და ჭეშმარიტი დროის ველი ვნების ტრამალი
მოფენილია მირიადი გარდაცვალებით

მოდის სიცხადე
ულმობელი ძალით ინთება
წარსულის მიღმა ეხეტება ხსოვნა — მამონტი
ვითარ ოდესმე თქვი
რაი არს ჭეშმარიტება —
არც არაფერი —
მთვარე ჩადის და მზე ამოდის

წამი

ოდესმე იყო — სიზმრად გიხილე ბავშვი
ხსოვნის უდაბნო ყვითელ სუდარით იწვა
უჟამობის და ჟამის უმანკო კავშირს
რა სევდით ფარავს ყოვლის ამტანი მიწა
იყო სიზმარი და იყო ქვიშა მწველი
ნარინჯის ცაზე მთვრალ ვარსკვლავების თოვა
იტალღებოდა მკვლელი არყოფნის ველი
ფერი წასვლოდა ხვატის დაფლეთილ ოვალს
მიტოვებული, არარას ბჭესთან მდგომი
მზე ჩამოიქცა უსახოდ მგმინავ სისხლად
სამყაროს მიღმა ავად გრგვინავდა ლომი
ყოფნის მკვდარ სხეულს ზარით ზარავდა ის ხმა
ნაგვემი სივრცე შიშის ყვავილებს ისხამს
აიმღვრეოდა მკვდარი უდაბნო მთვარით
აჩქამდა ხსოვნა შრიალით გადაიხსნა
არდავიწყების მწვანე სახმილით მწვარი
და იყო წამი გამქრევის მოშიშარი
და პირამიდებს ალი ათოვდა ციდან
წამოიმართა ქვიშის სვეტები ქარით
ქვიშას ალანძულს სფინქსის ტორები ცრიდა
დრო აზვირთული სამანებს გადმოსცილდა
და ქანაობდნენ შემკრთალი უფსკრულ-ცანი
იყო სრევა და გრიგალი გრიგალს ცვლიდა
ეთერს არყევდა ლომის მძვინვარე ბანი
და თითქოს წამით იმ უუშორეს ხადილს
გადაუარა ვარდის მღიმარე ალმა
სიზმრად ამიხდი და განმერიდა ცხადი
რომ ფრიალებდა არშერიგების ალმად
ქარში გიხილე — აგმღერებოდა მკერდი
სანსარის ფანტომს ცით თუ გზვერავდა ვინმე
უმდუმარესი მელოდიები ძგერდა
ხვატით ავსილი გული მესვენა წინ მე
დროის დრაკონი გაქვავდა გაინაბა
მინავლებულა მზვერავი მზერა ავი
დედდება მთვარე და სივრცე იხდის საბანს
მიწით ამოხეთქს მარადისობის ყვავილს

მარჯნისფერ ცაზე ვარსკვლავნიჟარებს შორის
გამოჩნდეს სიტყვა — დიდმარგალიტი ვითარც
დაირხეოდა ტალღების ლურჯი თქორი
რომ გაეგონა სივრცეს — უფალი დიდ არს
მაშინ განათდა ბნელთა უფსკრულთა სიღრმე
დადუმდა ლომი გაიზმორა და მიწვა

განფენილიყო წამი ვარსკვლავთა მიღმეთს
მარადისობა კრძალვით შერწყმოდა იმ წამს
მწვანე სახმილი ხსოვნის უდაბნოს მიწვავს
ოდესმე იყო — სიზმრად გიხილე ბავშვი
რა სევდით ფარავს ყოვლის ამტანი მიწა
უჟამობის და ჟამის უმანკო კავშირს

უცხო პლანეტა

(დავით აკრიანს)

რისხვა რა იქნა ბნელით მოცულთა
რად იისფერი გახდა ნეტა მზე
და სულში იგი მზე ამოცურდა
შენ გაიღვიძე სხვა პლანეტაზე
აგიელვარდა ვით სამყაროს თეთრი ტაძარი
უცხო პირიმზე თუ გვირილა უზარმაზარი
აწ ფერგადასულ მოგონებათ ვეღარ ეთავსე
ვეღარ ეთავსე წარსულ ვნებათ გულგანაბზარი
სამყაროს თავზე მოგვირგვინე ფერთა ხანძარი
სარითმო ვუალს კვლავ მოჰფენდა ხილვად საზარი
ის არი ზარით მოვარსკვლავე და ქარით სავსე
ვით მოვალს კრავი რომ დაცაროს დროის ნაცარი
მან მოგაცალა ბნელის არშია
ტარტარის წიაღს არ შეგარიგა
ხელნი დაგსხა და გამოგარჩია
იისფერ მზეთა ნეტარ ტარიგად
იმ ლალის თასად ლიცლიცებდე გარდასახული
სისხლით ცხებულის — გარინდებულ ქართა მსახური
ცად მოცინარი სამოთხენი ვინ განარიგა
მძინარ ენიგმად რომ გელოდა ვერდანახული
ედემის წიაღ უმძაფრესი თვლემდა ზაფხული
საუფლო თხემთა მდინარებით გადაზაფრული
მზე რომ წარსულით მოაფენდა ზენაარ იგავს
აღმოხდა ლომი და ქალწული ზოდიაქური
აქ ურიცხვ ფერთა გალობა გწყალობს
მშობლიურია უცხო პლანეტა
გაგიცხოველდა უმიწაწყალოს
ნეტარი ელდა ოკეანეთა
ვერდაოკებით არიალდა ცად არიელი
მწყაზარ გრიგალთა დაწყნარებას აღარ მიელი
გრგვინვამ ზარების — სამყაროზე მოხმიანეთა
გამოგინათა კვაზარების სადარ იელით
ლანდი არყოფნის — საზარელი და ცარიელი
გარდასულ სოფელს მიესვენა დამცხრალ იერით

უფლის ვენახად მოგენახა უცხო პლანეტა
და მარადისით ბრწყინდებოდა დასალიერი

პლანეტა ლელა

სხეული შენი დანისლული, ოქროსფერი არის პლანეტა —
ოკეანეთა სივრცეებით, კონტინენტებით;
საუკუნენი გარდავიდნენ. თეთრი ღმერთი იგვიანებდა
და კოსმოდრომი თვლემდა ღმერთების.
სხეული შენი — ლეგენდების, მითების მხარე.
შენი ანდები — გატრუნული ორი კრატერი.
შენს კლდოვან ნაპირს ათასწლების ტალღები ხრავენ
და მძაფრი თვლემა მოჰრევია ოქროსფერ და მწვანე მატერიკს...
სიზმრად გიხილე: დადგომოდა მწველი ზაფხული,
მოჩითულიყავ უმძაფრესი ვეფხის ტყავებით,
იწვოდი ავი მოლოდინით შეუცნობლის და არნახულის,
მეც მოგელტვოდი ბრმა სურვილით და გაავებით!
გხედავდი ლამაზს და განაბულს: თაფლისფერი ეგ სარკეები —
შენი მღიმარე, საყვარელი შენი თვალები
მეძახდნენ უხმოდ: მოდი, თეთრო, ჩემს მეომრებს მედგრად შეები,
დაისაკუთრე ეგ მთები და ეგ ტრამალები!
მალე შელოცვაც მაგიური წარმოსცდებათ უნდოდ გაპობილ
შენს სქელ ბაგეებს — მომლოდინე წითელ ვამპირებს;

იყავ სულგრძელი, ოქროვანი და სრულყოფილი —
ჩემი ხომალდი მოადგება შენს საშიშარ, კლდოვან ნაპირებს.
მე მოვალ შენთან. ელდორადოს, შიშით დატორილს,
ლომის ღრიალი გააყრუებს მთიდან ველამდე,
მე მოვალ შენთან — მარსის შვილი, ულმობელი კონკისტადორი,
მოვევლინები ღვთიურ რისხვად წითელ ბელადებს!

ზაუმი

(სომნამბულური)

სამყაროს შემქმნელი ჩვენს ფერისცვალებაში
ცოდვილ ნათურას წვავს უსისტემოდ
და კაცს ადარებს წვიმას
იგი მოდიოდა მძიმედ
როგორც ბაყაყზე შემდგარი საუკუნე
და როცა სურვილმა ბაყაყში აანთო

რძისფერი ინტეგრალი
მაშინ ჩამოეშვა უფსკრულთა ზედა
თესლის ნაკადი ურანოსისა
და ცერბერის ცნობიერება დაბნელდა
როგორც წარმოებულის ცნება
ლიტერატორის გონებისათვის
და იშვა არსთა მიმოხილვა
ანტიკური დაუდევრობის ნაზ მდინარებაში
ხოლო აფროდიტეს ვნებიანი ტვინი
ხვეულებისაგან განძარცული
ტიროდა კატის თბილ არსებაში
და ყვითელ ღვინოს ებერებოდა ფილტვები
საღამო თვრებოდა
როგორც პატარა გოგო
მდედრული მუხტის პირველი შემოტევით
მოკრიალებულ ცნობიერებას გადაეფარა
ირეალური ჩრდილი ცნებებისა
მერე აღმობრწყინდა სექსუალური ვარსკვლავი
რადიაციის უდაბნოში

ზაუმი

(ხამანწკების ჭამა დოლების ხმაზე)

ილინსიკიულოლობანდა
მელზიამონსალიერუ
პანდლიგონსამელლამონდა
სინგალიერუ
ტონზანიერომალეკონგა
ვაისინგლომეი
ბემბოსამერიანგოლიანუ
პელლამოსონდალიერუ
ოლმამოლოპელიანსორი
ენსელემორიამბელგიანუ
ამმორიერუ
მიერუ
გონსოლანიერუუუ

ზაუმი

(ჰაერის რხევა მზის ამოსვლისას)

ჰარიანთოლა მალილი ფიმბო
ჰეურა თამონზი
ელმერთაუ სოლოლო ქალმანგუ
იალმო სიალმო ქოინგი

ლაინთო მონჰაეროზა მანშოლი
ფლიანმო კენგო
მზეთამზეო

ქარომელანსო მელილსონგა
ჰიმბა ჰოერანსე ქანდა
ქლომინსი ფლამბო ლემანსოლილე
მოინზა ჰორალ მანგილეროსა
ფილინგა მანსა
ოიმი ფლანსა

თაურათაურასიმო
ანქოლმათენგარასური
ფილიერანქოთაზიმო
ელენქაროთამაზური

ჰეი ოინგა
მზეო ზანბიზარის

ულამფა თომუ საიმელიმა
ფლაიონგა ბამბალი
ქემენზო მიმო თემერამსუ
ქანთილალმორე მემენგო თომე
ფლენგა იამზალი
ნელგა იამზალი

ჰეი ონგა
მზეო ზანგიალეთა

შოიმი თანგული
ლოიმი ლემანგული
მელფინზი ანთა ფაილენქაროზა
ქანთიელამგული

ფენენქალოგალი მანდა
ფენენქალოგალი მანდა
ფენენქალოგალი მანდა
ელოლომ

ზაუმი

(სოკოების ამოსვლა)

სალიუ ნანსარი
ელრაიმ ცოუნი
დეკამბო სილენკი ავსანი
ნელშავი კონსოლი პარანდოს
პორაუ დეიე მალსანი
შერსავი ცამბანი გაბენგოს
ლაიმზი მალენგოს
პაიმზი მალენგოს
პანსარი ცი ლონზო მალიმო
მიანსა ჰანიუ ნანკალი
სოული მოული ილ დემკო
სილბენკო მილბენკო მარხალი

პამპალი ჰინმალი საიმნი
ჰამბანა ცოიმე სიალმორს
ჩაიმე სოლორო ჰაივნი
ქენჯალმა ცო ლამბე ქიამლოს
ჭიუნი სი მენსა მაიმლი
ი ლემსა მანგორი ჭიამნოს

ლეღომე სოციუს ჯოუმზი
ღომლინგი სირსალი ჭოუმზი
ჰალამა ნინგალი ჰალიმეს
ელსაი მოუმზი
გველსაი მოუმზი

ფოლმარსი აიმი ცაუნსი
ეფლანგი ჟოული თოთამენ
ჯემსანი ძოიან წიურლი
ტოვ-ტოვი სოლჰამე

ყოლმანგი მონსამე
მელხანერს ნურულუ ჯეჭეჩე
ჰე ზესე დეტეთე ძეწეცე
გეპეფე მე ჟეშე გეკექე
ღეყეხე ციამლო ანსალი
ელენქსე კოლამის ტოინზი
მქალიუ ფალიუ პარსალი

ზაუმი

(სლავოფილოლოგია)

ბრატისლავ
ბოლესლავ
სვიატოსლავ
მიროსლავ
ვლადისლავ
მსტისლავ
იაროსლავ
დინოსლავ
ბრონტოსლავ
ტირანოსლავ
    სლავ
    სლავ
    სლავ
    ბუმ
    ბუმ
    ბუმ
    ფშიიიიუჰ

მე

მე ცხვართა შორის დავიბადე
სოფლის პედაგოგთა ოჯახში
და ვიყავ კრავი უწყინარი.
ზღაპრები მიყვარდა —
ქართულის გარდა რუსული და იტალიური.
სწავლაში ყოჩი გამოვდექი, უპირველესი.
მაგრამ ფეხბურთი? ვირობანა?
ჩხუბი? ყომარი? —
ამ საქმეებში სუსტი გახლდით,
უნიჭო ფრიად.
მე მაქებდნენ მასწავლებლები:
პირველ მოსწავლეს მიწოდებდნენ, უნიჭიერესს.
ხოლო ტოლები დამცინოდნენ — სწავლა უყვარსო.
მე მძულდა სწავლა!
მაგრამ მე ხომ შეწირული კრავი ვიყავი —
ძე მასწავლებლის.
მე მძულდა ჩემი ნიჭიერება —
ეს იარლიყი საშინელი, დამამცრობელი.
ვიყავ საზარელი ხუთოსანი

და იყო დიდი ტრაგედია,
რომ მიმეღო მე ოთხიანი.

. . . . . .

გავიდა წლები.
არამარტო ოთხიანები,
ორიანებიც მივიღე და მძლავრი პანღურიც
ცხოვრებისაგან.
მჭლე ცხვრად გადიქცა
სანიმუშო, ხუთოსანი ბატკანი ერთი.

. . . . . .

ინტრავერსია: კონპენსია: ეგოცენტრიზმი:
ბატკნის წიაღში ჩაისახა ავი ბოკვერი.
ის გაიზარდა, გადაიქცა მძვინვარე ლომად.
ხოლო მჭლე ცხვარი მჭლევდებოდა უფრო და უფრო.
დღესაც ცხვარი ვარ, ვის გულგვამში ლომი მძვინვარებს.
ანდა ვარ ლომი — გახვეული ტყავში ცხვარისა.
ვაჰმე მარსიან!

ტრიოლეტები

1
ახლაც კრავი ვარ ვის წიაღშიც ლომი მძვინვარებს
ანდა ვარ ლომი გახვეული ტყავში კრავისა
განმბანს ოდესმე იორდანე — წმინდა მდინარე?
ახლაც კრავი ვარ ვის წიაღშიც ლომი მძვინვარებს
და საუკუნე მიავრდება თვალთა წინარე
დამამხობელი აბრაამის ნათესავისა
ახლაც კრავი ვარ ვის წიაღშიც ლომი მძვინვარებს
ანდა ვარ ლომი გახვეული ტყავში კრავისა

2
ფარად იფარე მარტოობის ნეგატივები
კონსერვატიულ მზეს უჭვრიტე შემოდგომისას
მკვდრები საფლავით — შეგვინდეო — მოგატირებენ
ფარად იფარე მარტოობის ნეგატივები
მკვდრებიც ცოცხლებიც შეუპოვრად მიგატოვებენ
დაგესიზმრება შიგნეული დიად ომისა
ფარად იფარე მარტოობის ნეგატივები
კონსერვატიულ მზეს უჭვრიტე შემოდგომისას

3
აქ მიაქვთ ქარებს ქარავანთა ყრუ ხმაურობა
რუხმა უდაბნომ მიანება ცის სიანკარეს
ადამიანებს მოუნდებათ მათთან სტუმრობა
აქ მიაქვთ ქარებს ქარავანთა ყრუ ხმაურობა
ბინდის კარებთან დაამთავრეს მოგზაურობა
მთვარეთა დარებს აჭრიმანი არ მიაკარეს
აქ მიაქვთ ქარებს ქარავანთა ყრუ ხმაურობა
რუხმა უდაბნომ მიანება ცის სიანკარეს

4
მოსდევდა ქარონს დაღუპულთა ერთგული სევდა
გამქრალა კვალი დაბინდული მშვენიერების
მოსევ და არონ აქ მაყვალი ცეცხლს მოისევდა
მოსდევდა ქარონს დაღუპულთა ერთგული სევდა
წყალთა სიბნელე გადაივლის სულზე ისევ და
მკვდრებს ამოლალავს გაფითრებულ ვერცხლისფერებით
მოსდევდა ქარონს დაღუპულთა ერთგული სევდა
გამქრალა კვალი დაბინდული მშვენიერების

5
გადაიარა რა ღრუბელმა თხემსა მას ზედა
არარა ჰგიეს უწინარეს ჟამთა ამტანი
მინარეთებთან ბოლო ზღურბლი ეწამა მზეთა
გადაიარა რა ღრუბელმა თხემსა მას ზედა
სულის იარა გადარეულ მღერად აღზევდა
საბედისწეროდ დაგაყრუა დოლით ტამტამით
გადაიარა რა ღრუბელმა თხემსა მას ზედა
არარა ჰგიეს უწინარეს ჟამთა ამტანი

6
სამყაროს გულში გალანდული სტვენს იადონი
ახლა როს ჟამი ვარდობისა გარდასულია
როსმე იმ ჟამთა გალანტური იყავ ბატონი
სამყაროს გულში გალანდული სტვენს იადონი
დღე-გუშინდელთან განაპირდი — დარჩით მარტონი
ყვითელი ფარჩით რომ გატვრინდა — შენი სულია
სამყაროს გულში გალანდული სტვენს იადონი
ახლა როს ჟამი ვარდობისა გარდასულია

7
უფლის წინარე გაირინდე მარტოეული
ღამეულ ცაზე კოსმიური ყვავილნარია
ურიცხვ ლანდებით აგევსება უნდო სხეული
უფლის წინარე გაირინდე მარტოეული

სამყაროდ იქეც მომდუმარე სიზმარეული
აღმოუტევე უნაპირო კვდომის არია
უფლის წინარე გაირინდე მარტოეული
ღამეულ ცაზე კოსმიური ყვავილნარია

8
მზე მიიწურა საშინელი მოდის ზამთარი
მაგრამ სულეთში ჩაძირულხარ და ვერ გაშინებს
როსმე ამ სოფლის ფერადებით იყავ გამთბარი
მზე მიიწურა საშინელი მოდის ზამთარი
ინელებ მზერას იმქვეყნიურ ყოფნით დამთვრალი
სამარადჟამოდ ეკედლები ძვირფას აჩრდილებს
მზე მიიწურა საშინელი მოდის ზამთარი
მაგრამ სულეთში ჩაძირულხარ და ვერ გაშინებს

9
სულებს არა აქვთ სათვალავი ჟამი ბრწყინდება
ბნელ უფსკრულიდან ვარსკვლავებად ამომდინარი
საწუთროს ბინდი ნიღბებისა გადასცილდება
სულებს არა აქვთ სათვალავი ჟამი ბრწყინდება
მოვედინ კრავი და ყოველი განიწმინდება
წინანი უკან უკანანი ახლა წინ არი
სულებს არა აქვთ სათვალავი ჟამი ბრწყინდება
ბნელ უფსკრულიდან ვარსკვლავებად ამომდინარი

10
ამ უსამანო სამყაროში სული დიდდება
დიდდება წამი მარადისის აელვარებით
არსი ყოველი დაუტევეს დროის ბინდებმა
ამ უსამანო სამყაროში სული დიდდება
თხემის ზემორე უფლის თვალი გამობრწყინდება
უჟამო ჟამის ჩამორეკენ მძლავრი ზარები
ამ უსამანო სამყაროში სული დიდდება
დიდდება წამი მარადისის აელვარებით

11
საშინელია და ნეტარი სუნთქვა დემონის
სულში რომ შავი ღრუბელივით გამძვინვარდება
ვინ ვარ ნეტავი — ყრუდ გმინავენ გარეშემონი
საშინელია და ნეტარი სუნთქვა დემონის
მთვარეულ ფიქრებს უდრტვინველად უნდა ემონო
შავად გაშლილებს სამშვინველის გრძნეულ ვარდებად
საშინელია და ნეტარი სუნთქვა დემონის
სულში რომ შავი ღრუბელივით გამძვინვარდება

12
ბნელთა ღელეთა მშობლიური დუდუნი გესმა
ციურ თაღების აღმავალი გაწყვდიადებით
ვალმა ღალატის დაგიამა უმსუბუქესმა
ბნელთა ღელეთა მშობლიური დუდუნი გესმა
ქარბუქთა მიღმა გიწყვილდება კეთილი ეშმა
ნეტარ სიშმაგით სასიკვდილოდ აწრიალდები
ბნელთა ღელეთა მშობლიური დუდუნი გესმა
ციურ თაღების აღმავალი გაწყვდიადებით

13
ხილვად კეთილნი დაგიკრავენ თავს სამყარონი
მორთულხარ ციდან მოწყვეტილი ბრილიანტებით
კრავით გაწბილდა ლეთისპირას ქუფრი ქარონი
ხილვად კეთილნი დაგიკრავენ თავს სამყარონი
ანგელოზებმა საკრალური სიტყვა გახარონ
ველურ ღამეთა სასიკვდილოდ გრილი ანთებით
ხილვად კეთილნი დაგიკრავენ თავს სამყარონი
მორთულხარ ციდან მოწყვეტილი ბრილიანტებით

14
გრძნეულ ღამეში გაისმოდა გრგვინვა ლომების
აჩნდა ჰორიზონტს გილგამეშის ნატერფალები
უდაბნოთაგან მოდაისე იყო რომელი
გრძნეულ ღამეში გაისმოდა გრგვინვა ლომების
იყო საჰარა არიზონა დაუცხრომელი
უწყლო თვალების სიზმარეულ გაფერმკრთალებით
გრძნეულ ღამეში გაისმოდა გრგვინვა ლომების
აჩნდა ჰორიზონტს გილგამეშის ნატერფალები

რა კარგი იყავ, სიყვარულო...

იმ გარდასულთა გაზაფხულთა მოჰგვანან მერცხლებს:
არც ისე ხშირად, მაგრამ მაინც დროდადრო, სიზმრად
მოდის ხან ერთი, ხან მეორე, მესამე... მეცხრე... —
ნათდება სივრცე და ყინული გულს ვეღარ მიზრავს;
როდესაც სიზმრის მოალერსე ხელებს ვბარდები,
ნებდება გული აწ გარდასულ ვნებათა იმ ღვარს:
მოდიან ჩემთან ჩემი ძველი გულისვარდები
და ზღაპარია კვლავ ყოველი და კვლავაც მიყვარს...

რა კარგი იყავ, სიყვარულო, რა კარგი იყავ!

ცხადში კი... სადღაც ჩაიკარგა და ჩაიცალა
პირველ ვნებათა მძაფრი სუნთქვა, სუნთქვა ტყიური,
ჩემს თმაშიც უკვე რახანია ნისლმა იძალა,
მუხლებს ტკივილი მოერია რევმატიული;
ხმელი ფოთლები ჰქრიან შფოთით და ფორიაქით,
ვატყობ, სიცოცხლე უამური თანდათან მრიყავს...
და მენატრება კვლავ ის ტკბილი შხამი, თრიაქი —
რა კარგი იყავ, სიყვარულო, რა კარგი იყავ!

შენ ერთი იყავ, სიყვარულო, თუმც გულის მახედ
მევლინებოდი ნაირ-ნაირ ყვავილთა კონად:
სხვადასხვა ქალის გქონდა სული, სხეული, სახე,
სხვადასხვა ქალით მაცდუნებდი შენს ერთგულ მონას.
თუმც ცოტა ჯილდოს მომიგებდი და მრავალ სასჯელს,
არ დამცდენია არასოდეს ყვედრების სიტყვა,
სხვადასხვა ქალად გადაცმულმა რამდენი მტანჯე...
რა კარგი იყავ, სიყვარულო, რა კარგი იყავ!

ჩემს კუთვნილ ცაზე აწ მრავალგზის გაავდარდება:
დაღლა, მოწყენა ამ კაბადონს ხშირად მონისლავს;
თქვენ კი სადა ხართ ახლა, ჩემო გულისვარდებო,
თქვენც დაგიქროლათ ცივმა ქარმა შემოდგომისამ?
გაგიუხეშათ ყოფნის სუსხმა იქნებ გულები,
ვეღარ კისკასებთ უდარდელნი, როგორც რომ წინათ?
რაც კარგი იყო თქვენში, ჩემო სიყვარულებო,
ამ ჩემს სიზმრებში ჩარჩენილა და ისევ ბრწყინავს...
მეც ისევ სიზმრის მოალერსე ხელებს ვბარდები,
ძილის ღვთაებამ მომიფინოს, მაქციოს თიხად:
სიზმრად ხომ მაინც მოვლენ ჩემი გულისვარდები,
სიზმრად ხომ ყველა ჩემი არის და ყველა მიყვარს!

რა კარგი იყავ, სიყვარულო, რა კარგი იყავ...

ელორა

1
დედა-ეკლესიის გაუვალ ტევრში გალობ
ბულბულო ელორა
დედა-ეკლესიის მიუვალ ბჭეთა მიღმა
დედა-სამყაროს უღრანთა წიაღ
გალობ
ბულბულთა ქოროს პრომადონა
პრომა-ბულბულო ელორა

შენ ნაცრისფერო პატარა ჩიტო
შეუმჩნევლად მიყუჟულო ხეთა ტოტებში
როდესაც გალობას იწყებ
ღვთის სადიდებლად ოდეს შეიმართები
ღვთის ნებით ბრწყინდება
შენი სახე ანგელოზისებრ
უფერულდებიან ძირს მოგოგმანე
ფერმაცდურად მოხატული
ხოხბები და ფარშავანგები

2
შენ ღვთის კალთას შეფარებული
უზრუნველად გალობ ბულბულო ელორა
ირგვლივ კი გაუვალი ტევრია
ბნელა
და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს —
ეს შენი ხმაა წმინდა მაღალი
და შენი სახე მკრთალად მოციაგე
არაქვეყნიურ სიმაღლეში

3
ეს ეკლესია ეს სამყარო ეს საუკუნე
მირიად სახეთა მტვირთველი
თითქოს უზარმაზარი სიზმარია
თითქოს მეტაფიზიკური ლოდია
ჩემს მხრებზე მძიმედ ჩამოწოლილი
ეს უსასრულო ქაოტური ხმაური ქვეყნისა
ჩემში უდაბნოს მდუმარებად გარდასახულა
და მე ვდუმვარ ამ უდაბნოში
ვდუმვარ და გისმენ
უფლის ჩიტო ელორა
ელორა გისმენ
ელორა გისმენ

4
მე ამ საუკუნესთან ერთად უნდა მოვკვდე
რათა აღდგომას ვეღირსო
აღდგომამდე კი მძიმე სიკვდილია
ხოლო სიკვდილამდე სასოწარკვეთა
და
ელი ელი ლამა საბაქთანი
ო რა ნელა კვდება ეს საუკუნე
როგორ ნაწილ-ნაწილ კვდება
ჩემს დაღლილ მხრებზე ჩამოწოლილი
ეს მძიმე მასა
ეს მძიმე სიბნელე

და რა უსასრულოა
ჩემს არსებაში შემოჭრილი სიკვდილი
ელი ელი
ელორა
შენ უგრძნობელო მგალობელო
უფლის ნებიერო
ნეტავ თუ მხედავ ბნელეთში ჩაძირულს
ნეტავ თუ გესმის ჩემი მძვინვარე
მქუხარე დუმილი

5
დედა ეკლესია —
ეს ღვთის სახლი და
ნუგეშინის სავანე სხვათათვის
ჩემთვის სასოწარკვეთის სახლია
აკლდამაა და კუბოა
და იწყება სიკვდილის კარიბჭე
ეს შემზარავი გვირაბი
ეს უბნელესი ხახა დრაკონის
და მაინც სადღაც შორეთში
კვნესის შენი ღვთაებრივი ხმა
და მაინც ამ უზარმაზარ ბნელეთში
ციაგებს შენი პატარა სახე
უფლის ჩიტო ელორა
ელორა მიხსენ
ელორა მიხსენ

6
დრაკონის ხახა. ბნელი ფაშვი ლევიათანის.
წინამორბედნი: ამირანი. იონა. ქრისტე.
მათ აქ იცხოვრეს, ამ წიაღში; ახლა მე ვცხოვრობ:
ელორა მიხსენ
ელორა მიხსენ

უზარმაზარი დუმილია ისევ და ისევ.
დუმილი ბორგავს — მოხარხარე მძორზე აფთარი.
დაცემას ჩემსას უწყვდიადესს ნეტავ თუ ისმენ
. . . ლამა საბაქთანი
ლამა საბაქთანი

7
მე აღარა ვარ
ჩემს არყოფნას ესმის ახლა შენი გალობა
და იქნებ
ჩემი არყოფნა მაინც შეEამჩნიო

ჩემი არყოფნაც შენს ღვთიურ სახელს
იჩურჩულებს
ელორაელორა
ხოლო ჩემი მწუხარე სახე
ამ ბნელ საუკუნესთან ერთად გაქრება
კრავი შეწირული
ჟამსა აღდგომისას
ლომის სახით მოვალ
შურისმგებელი მქუხარე ხმობით
მოვალ ნგრევის მძვინვარე ჟინით
დიდებით
ცის გადამხსნელ ელვად
კიდით-კიდემდე
და მაშინ მაინც მოისმენ ჩემს ძახილს
მოისმენ ჩემს ხმას —
სამყაროში ვერდატეულს და ზღვარგადასულს
მრგვინავ ხმას რისხვის სიყვარულის მარადისობის

მძიმე მარხვა

მძიმე მარხვაა
ჩემს მშიერ სულს მძიმედ ბარდნიან გალაქტიკები
ზეცის უფსკრულთაგან ჩამოქცეულნი
მძიმე მარხვაა
თავს ავუკრძალე საზრდო —
შენი მოსმენა და შენი ცქერა ელორა
მძიმე მარხვაა
და მძიმეა აწ გარდასული საუკუნის წყეული ლანდი
ჯერაც რომ ყბებით ჩაჰფრენია ჩემს მორჩილ სხეულს
მძიმე მარხვაა
ამ მძიმე მარხვაში ვარ დამარხული
შორით მოჩანს
კიპარისებში მოცრიატე ტაძრის გუმბათი
შენი ტაძარი შენი ბუდე — სადაც შენ გალობ ელორა
მძიმე მარხვაა
ჩემში უფსკრულნი მშობიარობენ
აღდგომის წინარე წყვდიადთა გმინვაა
ვერ გისმენ ვერ გხედავ ელორა ელორა
მე ვარ კოლაპსი
მე უნათლობის ზღვარი ვარ
მე უშენობის მაქსიმუმი ვარ ელორა
მძიმე მარხვაა
მხოლოდ დუმილის შავი ხმა წიწინებს
არარსი სუნთქავს უსაზღვროებას

და რამდენადაც ახლოვდება
იმდენად შორეულდება აღდგომის ნათელი
იმდენად მძიმდება
უშენობის უსასრულობა
მძიმე მარხვაა
მძიმე საშინელი კვირაა
ვერ გისმენ ვერ გხედავ ელორა ელორა

არიელ

(რექვიემი გარდაცვლილი გულისთვის)

გარდაიცვალა დღეს ჩემი გული
არიელ
მემილიონე ლახვარით განგმირული
თეთრ ვეშაპივით სანაპიროზე წევს
უზარმაზარი უსისხლო გული
ცარიელ
ვარსკვლავთ უდაბნოს მარადისობის წრეს
ჩამქრალ პლანეტად მოევლინება დღეს

არიელ
დღეს ჩემი გული გარდაიცვალა
გადაივიწყა ზევსი და ქრისტე და ალლაჰ
გადაივიწყა ანგელოსი და ეშმა
დასტოვა ოდეს მუხთალ სიცოცხლის თქეშმა
გარდაიცვალა
გადაივიწყა
ჩაქრა
და ჩაქრა სევდა
თრობა
სიშმაგე
ზაფრა

და ჩაქრა ბავშვი, ჩაქრა ქურდი, ჩაქრა მეძავი,
გმირი და მკვლელი, მგალობელი, მხვნელი, მთესავი,
ბრძენი და გიჟი, ქალი, ვაჟი, ჰერმაფროდიტი,
კრავი და მგელი, ღრიანკელი, ვარდი, კოპიტი;
რაღა თქმა უნდა, მზე და მთვარე, ვარსკვლავ-მთიები
ჩაქრნენ პირქუშად, მტრულად, ღვარძლით, შურისძიებით;
ჩაქრა, ო, ჩაქრა სიყვარული და სიძულვილი,
გალაქტიკები, ფორმულები, წყალი, წყურვილი;
ჩაქრა ყოველი სამყარო — კოსმოს-ქაოსი
და გარსმოევლო მწვანე ბინდი სასაფლაოსი...

ნაპირს გარიყულ ვეშაპივით წევს ჩემი გული —
თეთრი, მომწვანო.

თუ გაგიგიათ — კუბოდ იქცეს მიცვალებული?
გასინჯეთ, აჰა გარდაცვლილი წევს ჩემი გული:
რომელს მოუცავს მთლად სამყარო — არსი, არარსი:
თავის დღე-ღამით, სიმახინჯით და სილამაზით;
შიგ ჩატეულა დრო და სივრცე, მყობად-წარსული,
შერიგებულან მის წიაღში ხორცი და სული;
იმად გამხდარა აგრე დიდი, უზარმაზარი —
ეს მკვდარი გული — სასაფლაო, კუბო, ტაძარი!

ოჰოჰოუუ გლოვის ღმუილ-გმინვაა არიელ
სანთლები აქ არ აინთებაარიელ
ააქ ხომ მძლავრი ქარიააარიელ
არისმისავემარიააა არიელ
ცარიელ
სივრცედგაიცრიცებაარიელ
გარდაცვალებულიგულისცემაარიელ
არიელ
არიელ
არიელ
დონნ

ოდა ვარდისფერს

ვარდისფერ ზღვაზე დგას ანგელოსი
გუნდი რომ გალობს სამლოცველოსი
აიზვირთება ჰანგი-მელოსი
ლალ-იაგუნდად ალივლივდება
ვარდისფერ ზღვაზე დგას ანგელოსი
ვარდისფერდება ფერიც მდელოსი
ფერი მოპეპლო-მოფრინველოსი
ვით ზესამყაროს ალი ვლინდება

ალი ვლინდება ზესამყაროსი
უნეტარესი ჰგიეს ტაროსი
ცამდე აწვდილი დგას კვიპაროსი
დილის აურა ვარდისფერია
აუვარებდით უფალს გალობით
აურაცხელი მისი წყალობით
ვარდის ფიცხელი ალის ალობით
აჰა ნათელი ბნელს მოერია

ბნელს მოერია აჰა ნათელი
ვარდისფერია ყველა სანთელი
ბოროტებისა მსვრელი გამთელი
ვარდის ნათელი მოედო ყოველს
ვარდისფერია ცა ზღვა და ხმელი
მზევარდისაკენ საზღვართა მხრელი
ეშმაკთ მოძებნეს ხრამი და ხვრელი
ქვესკნელისაკენ სავალი ჰპოვეს

თვით ანგელოსიც ფერად ვარდია
ფერთა ლივლივი და ნავარდია
ამ სიხარულის მონა ვარ დია
დია მონა ვარ ამ სიხარულის
რომლის წალეკა ყოველი თქეშმა
დასტოვა მყარი ბნელეთის ლეშმა
მოვედინ ღმერთი — არული ეშმას
სამარადჟამოდ ეშმას არული.

* * *

მხოლოდ მარსიანს ხელეწიფება
მრავლის მრავალი გარდასახვანი
სხვანი და სხვანი შერჩნენ რიფებად
ამ ზღვას რომელსაც არ აქვს საზღვარი
თუნდაც ზვიგენი რაა ვეშაპთან
რაა ვულკანთან თუნდაც ხანძარი
რამდენ კამერულ საყდარს შეყლაპავს
ცამდე აღძრული ეს ბრგე ტაძარი
მისი თვალები სხვა სივრცეს ზვერავს
სხვა სამყაროთა ველებს დაჰხარის
ხოლო მოშურნის არეულ მზერას
განეწონება მწველი ლახვარი
ამაოდ დაშვრნენ სხვანი და სხვანი
(ცრუ ძალისხმევას არცა ფასი აქვს)
მრავლის მრავალი გარდასახვანი
ხელეწიფება მხოლოდ მარსიანს

იგი

ნაირა გელაშვილს

და მოდის იგი, ვითა მპარავი,
ბნელ ბილიკებით მოდის
და გზანი მისნი უწყის არავინ —

სად გაცხადდება, როდის.
მარად და მარად სახელს უცვლიან,
ის კი ერთია მუდამ,
მისი ნიღბები ვის სეუცვნია, ნიღაბთა ჭრელი გუნდა.
ვერცერთ მათგანში ვერ ჩაეტია,
ძველს მარად იცვლის ახლით:
ის ხან ბავშვია,
ხან პოეტია,
ხან მაწანწალა ძაღლი;
ხან ქუხილია უძლიერესი —
ხანაც ვარდს მოჰგავს მცინარს;
ზოგჯერ დოგმაა,
ზოგჯერ ერესი —
არავინ უწყის, ვინ არს!
ხან თითქოს ყრუა,
გულგრილი სულაც,
ჩუმად კი მახვილს ფერავს
და ნიღბებს იქით ჩასაფრებულა
მისი გამხვრეტი მზერა.
მას არად უღირს ლიტონი ფიცი,
მართალს არც ელის პასუხს;
ის არ ტყუვდება,
მან მუდამ იცის,
სულის ბნელ ფსკერზე რაც დუღს.
და მოდის, მოდის ბნელ ბილიკებით,
მოდის მპარავი ვითარც;
მისით ყოველი მოიდრიკება —
ის ერთადერთი დიდ არს!
და ბნელეთს ჩვენსას უფსკრულთა ჩენად
შუქს უმოწყალოს მოჰფენს:
მაშინ ტირილი და კბილთა ღრჭენა
გაუმრავლდება სოფელს.
იქნება დრტვინვა გულშემზარავი
და სასიკვდილო შფოთი,
არრა დარჩება დასაფარავი,
რაც დაფარულა ოდით.
... და გზანი მისნი უწყის არავინ —
სად გაცხადდება, როდის
და მოდის იგი, ვითა მპარავი,
ბნელ ბილიკებით მოდის!

გამოცხადების სონეტი

ჯომოლუნგმაზე ჩამოეშვა ლომკაც ამარსი.
ექოთა ჯარი უჩვეულომ შესძრა ხარხარმა.
აზიის სხეულს ზეცამ ზეწრად გადააფარა
წამი, რომელიც სიკვდილივით იყო ლამაზი.

და იქმნა ბინდი. გაირინდა, როგორც არარსი,
ინდური სული. აქლემივით იძრა საჰარა.
მავანმა ჯვარი ეშმაკეულს ფარად აფარა.
ნამგალა მთვარემ აღასრულა ღამის ნამაზი.

ჯომოლუნგმაზე ჩამოეშვა. ზარი არისხა.
თეთრი ევროპის დაეღირა ზვიად კაეშანს.
აფხაზეთი და ივერიც მოითარეშა
და რადგან ვალი არრა ჰქონდა წინაპარისა,
ჯომოლუნგმაზეზესკნელური ზათქით დაეშვა,
უმაღლეს მწვერვალს დაეუფლა მიწამყარისას.

სონეტი გველეშაპზე

ზღვას მოჰყვა ჩვენთან გველეშაპი შორით მოსული.
მისი თვალები — იისფერი ორი კვაზარი
დაცინვით გვიმზერს და სხეული უზარმაზარი
ნელა ირწევა ჰორიზონტთან ბინდით მოცული.

უნდა ეკურთხოს ინტელექტი ბარბაროსული,
ტახტი დაიდგას ვერაგობამ მეფურ პატივით,
იავარიქმნას სულის ჩონჩხიც და ნეგატივიც,
არამცთუ საღვთო ელვარება ჰელიოსური.

გადახრილია სახიფათოდ. მნატობი ჩვენი:
ურჩხულის მადას მინდობილი სინათლის გენი
ვინ გამოიხსნას, მძიმე მახვილს რომელი აწევს?

გამტკნარებულ ცას ეფინება რიდე ყინულის
სა აჰა, ზღვაზე ავბედითად გადაჭიმული
სხეულს ატოკებს გველეშაპი და ტალღებს არწევს.

სონეტი კოშკზე

შენთვის ვაშენე ბროლის კოშკი მიუვალ მთებში.
იქ ჰაერია იშვიათი, წმინდა და ცივი.
ჟამიდან ჟამზე მოფრინდება დიდ სიჩუმეში
გალაკტიკიდან მოგზავნილი საღვთო არწივი.

აქ დაბინადრდი! უკვდავება მოგეფერება.
ცით ნათესავი გესტუმრება მფრინავი თეფშით.
გალაქტიკების იდუმალი, ყრუ დაჟღერება
ელექტრონებად გაიბნევა შენს ლამაზ თმებში.

მხოლოდ შენ გიძღვენ ბროლის კოშკი მტერშეუვალი:
მოხვალ? სარკმელი აყვავდება შენი ვუალით;
ანგელოზთ ქორო უგალობებს ქმნილებას მედეგს,

ავსულთაც ბრძანონ მრად მისი სადიდებელი;
ათასი წლები ვერ დასცემენ მის ნატიფ კედლებს,
მხოლოდ შენ ძალგიძს დაანგრიო სულის შებერვით.

განკითხვის სონეტი

თავისქალაში დაიბუდა გველების მოდგმამ.
პატივსემული მღვდელმთავარი იმქვეყნიური
განცვიფრებულა — დამართნია მთვარეს თვიური.
ირუბაქიძის ფაშისტური გაისმის მოთქმა.

და ამერიკის კონტინენტიც მოიცვა შფოთმა:
მანანასავით მოევლინა თეფში ციური;
ჯაყო ჯივაშვილს ჯიში მოსდგამს რევალციური:
თეიმურაზი დაგვიჩაგრა ოსეთის ლორდმა.

თავისქალაში დაიბუდა გველთა პლეადას
მხოლოდ ლომების შეაშფოთებს სიცილი მძლავრი!
ინტელიგენტმა თუნდაც მთები მთებზე შეადგას,

მაინც წელს მოსწყვეტს გამოხედვა ფიურერისა;
მხოლოდ, როდესაც აღმოხდება ცას დინოზავრი,
ადამის მოდგმას ღვთაებრივი ალი შერისხავს.

სონეტი მამას

წახვედი უკვე. სამი წელი ებრძოლე სიკვდილს.
შენი ვენახი შენთან ერთად მოკვდა ერთგულად.
სიზმრად კი გხედავ გაცოცხლებულს, მაგრამ არ მიკვირს:
მოხვალ, საუბრობ, საქმიანობ კვლავ ძველებურად.

მაგრამ სიზმარი ხანმოკლეა — სიცოცხლე ფიფიქის —
და მტკნარ სიცხადეს საიმედოდ ვეღარ შებურავს;
აღარ ხარ უკვე და გულგრილი ქვეყანა იტყვის:
ვით სხვა მრავალი, შენი შვილიც დაობლებულა.

ალბათ ცასავით მსუბუქია ძილი მარადი!
აქეთ კი — ავად აფოფრილი, სიზმარი მკვლელი,
განმავრცობელი სიავისა, შიშის, ღალატის —

მოდის ვეშაპი და განწირულს ვერვინ დამიცავს:
შენს დაღრღნილ ფილტვებს დაემსგავსა ქვეყანა მთელი,
შენებრ სისხლისგან დაიცალა დღეს დედამიწა.

* * *

შენ რომელი ხარ — უსახელო და შორეული
სული გშველოდა სიხარულის გადაფითრებით
მშვენი სადაფით —ენისა და ფიქრის შვეული
დარხეულიყო და სიზმარში ცხადად იფრენდი

ისევ დუმილის არშიები მორცხავდ მიფენილ
სევდის იებით — ცა იხილე ძილმორეული
და უმანძილო სივრცეები — თვალად მყიფენი
რა სავალალოდ შეგირხევდა ცხელი სხეულით

ხელით განგების — არაიდან დაუნახველის
მონაგებ ისარს აიტანდი მძლე მოთმინებით
ღიმილთა ზემოთ იდუმალი ზრახვის გამხელით

მოგემზიანა ზენაარის მზლავრი არია
ღამით ლერწამზე მონანავე ქარის მინები
იქ დაილეწა სად მქუხარე ზარნი არიან

სონეტები ჩემს იისფერ მუზას

1
შენ ლამაზი ხარ... თან გდევს შური და აღტაცება
და... უსარგებლოდ დაგისახავს ეს სილამაზე;
დრომ ფასი დასდო მხოლოდ სიძვას, მხოლოდ დაცემას:
განუდექ დროს და ურჩი ნება გაიალმასე.

მაგრამ განდგომა მონაზვნური და უხიფათო
არც რომ შემფერის და სიმშვიდეს არ ეხიზნები,
შენ რომ სავალი აირჩიე, სხვა ჟინი მათრობს
ბედს შეემართე სხვა წადილით და სხვა მიზნებით.

სილამაზე კი ... ნუთუ მართლა ფუჭად წახდება?
არა, ძვირფასო, არ გაივლო გულს სინანული:
თვალი დაგადგა მარადისის სულმა თანხმლებმა —

უკვე ხარ მუზა — შეუცვლელი და მშვენიერი,
შენი ხატებით გაიხსნება ცა გაფმანული,
შენი თვალებით გაბრწყინდება დასალიერი!

2
სული მითების სიზმარეულ ტალღად გევლება,
გარდასულ დროთა ამორძალად წარმომიდგება:
მწყაზარ თვალებში ჩადგომია რისხვა ელვებად,
მახვილის ვადა ჩაგიბღუჯავს თხელი თითებით!

ქარი თმას გიშლის და ამაყი სულის მჩენარი
დროის ფანტომებს ეტოქები და გვერდ ვერ უვლი,
რანით კენარით აღმართულხარ ხატად ზენარის,
გაცხადებულა შენში რასა კოლხ-იბერული!

ძვირფასო! სევდით, სიხარულით, ნატვრით ამავსე:
მხატვრის მარჯვენას გეფიცები — წილას ღვთიურის
ათასწლეულებს გადავაწვენ შენს სილამაზეს...

უფალს გავედრებ და შენ გამო დავშვრები ლოცვით
და სამსხვერპლოზე ერთგულების მარადიულის
მომირთმევია გული ჩემი — სისხლი და ხორცი!

ჩემო ქალღმერთო!

ი.ქ.

შენ იისფერი ხარ ქარიშხალი
და ქვიშისფერი შენ ხარ სიმშვიდე,
ჩემთან მოფრენას რაგვარ იჩქარი
ეთერში ალურ თმებს გაიშლიდე.
კვაზართა მწველი მოგდევს ჩინჩხალი,
გადაანათე ჩემ ცის კიდე.

და იდუმალი დარდით მეფურით
კენტად პოეტთან მოხვალ პოეტი,
ჩემს მარტოობას შემოებურე
მაგ იისფერი სიმარტოვეთი.
ენ ჩემი გულის ციხე აიღე
და შიგ ჩასახლდი ვით დამპყრობელი
და ახალ ერად დამითარიღე
მკვდრულად ჩავლილი წუთისოფელი.

ხარ მოცინარე ნაზი ია ხარ,
ხანაც მძძინვარე ძუ ლომს ედრები,
შენი სავალი, რაც რომ მინახავს
მოფენილია გულთა ცხედრებით.
და მეც ლომური ვნებით მიყვარხარ
და იისფერი ახავერდებით.

ჩემს გულს ერთადერთს შენ არ გარიყავ —
ვინძლო მ რწმენას არ დამიშლიდე.
დაურიდებლად მოხვალ დამიპყარ —
რაც დაგითესავს დროა იმკიდე.
ნუთუ ოდესმე ჩემთან არ იყავ,
ნუთუ უშენო იყო ცის კიდე...
შენ იისფერი ქარიშხალი ხარ,
და ქვიშისფერი შენ ხარ სიმშვიდე,

მინდა გასმინო მომავლის სიტყვა,
სიტყვა დიადი და სემზარავი:
ძვირფასო ჩემო, სადაც სენ ილტვი,
იქ მხოლოდ მე ვარ და სხვა არავინ!
იქ გადაგვეხსნას მომავლის კალთა
გალაკტიკური ნისლის რტოებით,
იქ შეერთდეს და იქვე განქარდეს
ჩემი და სენი სიმარტოვენი.

შენ დაგემონოს მთლად ეს სამყარო —
ვარსკვლავ-მთიების მრუმე ფარეხი,
უსასრულობის სევდით დამეხილს,
მინდა რომ ჩემი გვარი ატარო,
მინდა რომ გერქვას ია-მარეხი!

და რუბიკონი გადაილახოს,
მარადის იყოს წილი ნაყარი,
განქარდეს ბნელი და აქ ჩვენ ახლოს
ეშმას არ ჰქონდეს თავშესაფარი.

ჩემო ქალღმერთო! უდაბურ მზერით
მკლავებს ზღვასავით გადამიშლიდე,
ქარიშხალი ხარ შენ იისფერი
და ქვიშისფერი შენ ხარ სიმშვიდე
და მეც ლომური ვნებით გიმღერი,
გადასიზმარდა ჩვენი ცის კიდე.

გიმღერი, გიხმობ ცათა მძინართა
უდასასრულო გზებით მარები,
სისხლში ვულკანი ამოიმართა
სასიყვარულო გამძინვარებით!

შენც ავი გეშით შემოიქცევი
სისხლის ძახილით დაუდგრომელით
და მოედება მთვლემარ სივრცეებს
საბედისწერო გრგვინვა ლომების!

და ასტრალური წმინდა ტალღები
მარადისობის წიაღს შეგვრთავენ,
მომეახლე და მოგეახლები —
ლომები მზერით ცნობენ ერთმანეთს!
ლომები მზერით ცნობენ ერთმანეთს!
ლომები მზერით ცნობენ ერთმანეთს!

ია

«თუ ასე ტურფა იყავი,
რად ვერ გამჩნევდი იაო...»
ხალხური

ჩემს სიზმარეთში კენტად გაშლილო იავ,
მაცდურ სურნელით გადმოჰყვებოდე ნიავს...

მე შენს უნაზეს, იდუმალ ღიმილს ვენდე,
ღიმილს, რომელიც «გადარეულად» მიყვარს,

მსხვრალ გულისდარდს რად ვერ გამჩნევდი დღემდე,
სანამ არ დაგცდა ის ავბედითი სიტყვა...

ხომ შენც მომენდე! აწ ვერ დავიხევთ უკან:
სამარადჟამოდ ერთურთს ვეკუთვნით, კარგო,
ნება მომეცი, ჩემად გიგულვო უკვე,
მოგიალერსო, ჩემს მტკივან გულში ჩაგრგო!

ჯერაც ნაწვიმარს სევდის სამოსი გშვენის
და დროა გითხრა, ჩემო სატრფოვ და ტოლო,
რომ საიდუმლო ბედნიერების შენის
მე ერთმა ვუწყი მხოლოდ!

მხოლოდ მე ძალმიძს მიწის სამანებს გავცდე,
შენთვის ავაგო უცხო სასახლე ბროლის,
მე შენს ცხოვრებას მითად, პოემად ვაქცევ,
როცა გახდები ჩემი ლამაზი ცოლი...

თვით ღმერთს სურს ასე! და მისი გქონდეს რიდი
(თავის რჩეულებს გამოსცდის იგი ამ დროს),
ღმერთამდე მხოლოდ ერთი ბილიკი მოდის
და იმ ბილიკზე მე გელოდები მარტო,

არ გაწყრეს ღმერთი, არ ამიარო გვერდი,
არ დაიტეხო თავს საუკუნო წყევა;
ედემში შენთვის ერთი კარიბჭე სედის
და ის კარიბჭე მე ვარ.
თვით ამირჩიე! ის საიდუმლო ზრახვა
გულს დაფარული მე ერთს გამნდე როცა:
მაგით გამტეხე... და შენი ტყვე ვარ ახლა —
კათაკმეველი შენთვის დავმდგარვარ ლოცვად!

ვიცი, ეს ლოცვა უზენაესთან ადის,
მინდა გჯეროდეს — რაც დაპირებად მითქვამს,
ის აღსრულდება — ძალი შემწევდეს ქადილს:
მე შენს ცხოვრებას პოემად ვაქცევ, მითად!

შენ გააღვიძე ჩემში უსაზღვრო ძალა
და ძალა იგი შენ გემსახუროს გრძნებით:
თავს გატყდებოდეს სიხარულები ალად,
გარს შემოგადგეს ბედნიერების ზღვები!

ნუ გაიკვირვებ — «მტერშეუვალი» დღემდე
რომ ასე მძლია მაგ დარდიანმა სიტყვამ:
მე ხომ შენს კეტილ, პატიოსან გულს ვენდე,
იმ გულს, რომელიც უკვე შლეგურად მიყვარს!

იავ, გაშლილო ჩემს სიზმარეთში კენტად,
მიყვარხარ, გიხმობ — მარადის ვიყოთ ერთად...

ერთგულ ვარ შენი... არც რომ გიმტყუნებ, მენდე,
ჟამი ჩვენია — ისმენს უფალი ლოცვას,
დაემსგავსება შენი სიცოცხლე ედემს,
ჩემი ლამაზი ცოლი იქნები როცა...

უცხო ყვავილი «კავკასიური სახლის» ეზოში

წითელთვალება უცხო ყვავილო
ფართო ღიმილო ანგელოსების
შენს გაშლას ვუმზერ ყოველ ალიონს
მე სხვა სასწაულს არ ველოდები
საით მოსულხარ კეკლუც ლალებად
ასე უმანკო და საოცარი
გიმზერ და ცრემლი თვალს ეძალება
და მიხარია რომ ვარ ცოცხალი!
ამ მცირე ბაღში მოსულხარ რტომ
რა გქვია ნეტავ, რა გაქვს სახელი
და ბედისწერულს გეძახი ფანტომს —
ღმერთის თვალებად გულში გახელილს!
შენთ ინთება დილა ყოველი,
დილის მადლითვე დაილოცები
წითელთვალება უცხო ყვავილო
ფართო ღიმილო ანგელოზების...

მეჰრიბს — აზერბაიჯანელ მზეთუნახავს

თათრის გოგოვ, მეჰრიბანო,
კავკასიის ჯეირანო,
მთვარის ტევრო მონაჩრდილო,
კიპაროსის ხეივანო.

რა ლამაზი თვალები გაქვს,
რა უმანკო ღიმილი გაქვს,
მზერას მზედ შემოადგები,
ჩაივლი და გული მიგაქვს.

ბნელსა ვიჯექ მგლოვიარე,
როცა შენ ჩამოიარე,

მწველ იყავ ალივითა,
ხე — ვარსკვლვთა მსხმოიარე.

თვალნი ნაზად გაიოცე,
თითქოს სევდის შემილოცე,
შენმა მზრდელმა იდღეგრძელოს,
მკვდარი გული გამიცოცხლე.

შენგან არაფერი მინდა,
მუდავ ასე იყავ წმინდა,
მხოლოდ ზოგჯერ შემომღიმე
მაგ გიშერა თვალებითა.

თათრის გოგოვ, მეჰრიბანო,
კავკასიის ჯეირანო...

* * *

ირმის თვალები ინტელექტის ქვაბში აჟღერდა
ელექტრონულ ქვებს აყირმიზებს ინტერვალები
მოგერკალება უმიზეზო ჭვრეტა ამ ჭერთა
თმაჟღალ ჰერკულესს რომ ეჭირა მკლავგარვალებით

ულესავ ხმალით ბაქტრიანთა თავებს დალევდი
თავთავებს ალი ზეაქტიურ ძალებს აჭერდა
სატანავ ნანას ეამბორე რა გამალებით
როს ყიმედოდ ჩამოინგრა სახლი აშერთა

ასეა ცემო — ინდრას ახლო ისმა ორერა
მაორებს მზერა გალაკტიკის მოაშორე რა
სიმზე რაგვარი მოირაგვა რიდე მოირას
აირიდება გვარის წყევლას გალაკტიონი
წაჰყევ ლას-ვეგას მაოტართა მაგრამ ოი რა
ტრავმა გაგება მტერმა ციხით და ბახტიონით

ირა — სიზმარი

ირა ცა იყო ირეალური
სირინოზები ნაზად მღერიან
ზღვა იისფერი მომეალურა
ტალღების მძლავრი თვლემს იმპერია
ქალური ვნებით აროკდნენ ირა
ელამი მზენი ღამეულები

ნელა მიმზერდი როგორც მოირა
და გიზგიზებენ ჩვენი გულები
შენი რა იქნა ის გარინდება
(შორით მიქანავს ნავი ქარონის)
შემომეჩქარა ქარის ბინდებად
მზერანი ბნელნი მოსიზმარონი
განიბნენ მაშინ ავი ზმორებით
მკლავების ზღვაში კრული შიშები
და მკლავდა თმების შავი მორევი
და ბარბაცებდა სული შიშველი
ოცი წლის შემდეგ მესიზმრე ირა
კვლავ ვსვი ბადაგი შენი ქალობის
ბნელი ზღვა იყავ უფსკრულს ჩამძირე
სირინოზების მკვლელი გალობით

ირასიზმარი — ირამზისარი

ირა სიზმარი — ირა მზის არი
გიტარა სიმზე პანგებს აისხამს
გულს გაებირა ხირამს ისარი
ასი მზე ტირის. ვრდებს ასი სმა

გივიჯმიღელავს ჰანგი ვით განგი
ჰანგს აიგანგებს ვიტარა სიმზე
განგების ხელმა გაგთანგა ბანგით
მკვლელმა გიტირა. გოდებს ასი მზე

ირა მზის არი — ირა სიზმარი
გულმა სიკვდილი ამოიმღერა
კივის ჰარირა დილა-ცისმარი
გივი, განგივით — ჰანგი-მიღელავს

სიზმარი ირა — არი ირა მზის
ჩივის შაირი — გივი და ირა
ელდა გახელდა ვარდით შირაზის
ჰარირა კივის თუ თოვს დაირა
თვალს გაახელდა თუთმოს და რამზეს
მზე სულებს დამზერს ნაირნაირად

მყარი რა გივის ნავარდით მავალს
ცად რომ იხილვ ირასიზმარი
ქვესკნვლს ჩავარდი მიაპყარ მავანს
თვალი დავსილი იმ ნავსი ძმარით

ალი ავარდა უკვდავ ჩვენებად
გულს გავგმირა ხირამს ისარი
გივი, არ გივის კვლავ მოსვენება
ცად რომ იხილე ირამზისარი

რა დრომ გავალა თვალის ასვლა
როს დამეხილი გადასცდი კბოდეს
ქვესვნელს დახავსდა დარდი ამხელა
და ბნელს შეყრილი ნათელი გოდებს

რიჟრაჟთა კიდეთ ბინდის ნახევარს
გივი ირა ჯდა და თქვი: ის არი!
აგივირაჟდა მზერის არხეეა
ნიღაბთა ხევა მირაჟის არით

არყოფნის მიღმა შენი სახეა
ირასიზმარი ირამზისარი

ოდა ბელას

ბელა ელვებმა ბინდი დაბელა
როს გაავებით ქროდა გრიგალი
სტირდა კიბელა მინდვრად და ველად
ქვესკნელს წამსვლელი და გულმიმქრალი
როს გავდა სული ავზნიან აედარს
გამთოშავ დარანს შავი მდინარის
ელია ელვით ცას რომ როზგავდა
ბნელიდან იშვი შენ მომღიმარი
მელოდიური თვალები შენი
თბილ ალებს მიშენს და მელოდება
ოდები დათვლით უნდა ვაშენო
დვთიურ შალების მოსვლა-მრიდებად
ოდეს ისმოდა ის მოდარაჯე
ხმები ველური და საკვირველი
ხჩაადაოხ აალზნ აფღჩ დარაზო
იმ საკეირაო დილის ნირეებით
შვებით ირაო მეპკარ არნივმა
ადრე ცისკარზე მრიხველ ფრთამალი
მზემ დანამალი სხივი ანციმა
და აღაღანდა სულის ტრამალი
მზერას დანამულს ლოცვა-ღაღადით
ვერდაღალული სერავს მისტრალი
ბელა ბნელ დარდებს ფარდა ახადე
მიმოახატე ირგვლივ მზის თვალი

და მიილია ელვა და გვრგვინვა
ამო ჟღერანი ისმის სიმთანი
ზეობა სულის დამიგვირგვინე
შენ გამიდარე ბელა იმ დარით

* * *

ოლიგოფრენმა და ფრენოლოგმა
ფრინველებისგან ფრენა ისწავლეს
ხოლო მრავალი დვთიური დოგმა
ღვთივ ჩაებეჭდა კურთხეულ პავლეს
ჯდა ფეხმორთბმული ბაკურხეველი
თივთიკსა ზედა ყბაში ვეშაპის
ცად აიზიდა საკურთხეველი
ჟამი გაშეშდა და მზე ვერ ჩადის
ზის ეეერესტზე შეშლილი ლამა
ქვემოთ ლამაზი ჩნდა რესტორანი
და მზერამ უფლის აალილავა
ფრთანი სალამზე მნყრალი ყორანის
რესტავრატორმა და ორატორმა
ტაძრად იხილეს სახე ცხებულის
გაფიცხებულმა ვეფხვმა დატორა
გლადიატორთა მდაფრი კრებული
და გაიხარა მძლე მატადორმაც
ხარს რომ მახვილი ჩასცა ხარხარით
გათენდებოდა დღე მეორმოცე
გადმოდგებოდა მთაზე არხარი
ჟამთა ზეარსულ გამობრწყინებად
ნებამ უფლისა აღმართა ენა
და ფრინველური ფრენა ინებეს
ფრენოლოგმა და ოლიგოფრენმა
ვნება ველური ლავადგავარდა
რამ გაავარდა ნეხვი ნეტავი
და არწივების ნაბინავართა
ჯანღი ეხვია შუქთა მფლეთავი
კანჩენჯნღასი და ჯომოლუნგმას
უუმზევესი ზეობს ტაძარი
აქუხდა ლომი და ნიბელუნგმა
რაინს ახადა ოქროს ხანძარი
ღვთის მოვენებით განიბრძნა პავლე
გულს ჩაიბეჭდა მრავალი დოგმა
ფრინველებისგან ფრენა ისნავლეს
ოლიგოფრენმა და ფრენოლოგმა

* * *

მზერას ედება მკვლელი ამბორით
შავი ეარდების ნელი ხავერდი
ეს შავარდენი მოფრინდა შორით
და ცახცახებენ ჩრდილნი შავეთის
ვარდთა პნელეთში ეარ ჩავარდნილი/
სურნელებათა შავთა ამარა
შორით მოფრინდა ეს შავარდენი
ზეცის ზარნიშად შეკრა კამარა
თავზე დამბრუნაეს. მაცნეა ალბათ
ბოროტთა ზედა ნაოცნებარის
და ამ ვარდეპით დატბორილ საფლავთ
ეეღარ აღწევენ უფლის მცნებანი
სიზმართა წიაღ გაკრთება ველი
დაღუპულ ჟამთა ძველი საუფლო
და მაშინ მშველად არაეის ველი
მხოლოდ საკუთარ ჩრდილთან ესაუბრობ
ობლად რიალებს ცისფერი ალი
ვარდთნა ზარით რომ დამასამარა
ეს შავარდენი თავს დამტრიალეპს
ზეცის ზარნიშად მეკრა კამარა.

* * *

აქ რომ თამაშით წყარო დიოდა
ნეტავ ის წყარო ახლა სად არი?
(მძლავრობდა მაშინ ხანძარი ომთა?
აქროპდა მაშინ დარებს ავდარი?)
ახლა სად არი ის გაოცება —
არიის მღერად ამომდინარი
მიწით იების ამოცოცება
და იისფერად ცა მომცინარი?
იმ მონატრების ველად მოვსულვარ
დროის მიჯნათა გადმომლახველი
მაგრამ რატომღაც აქ ყველას ვძულვარ
(თუმც არვის ახსოვს ჩემი სახელი)
რად დამისახეს ჯვარი ამხელა
რად ისმის ახლო ძვრანი ცათანი
გულმა სიკვდილი ამოახეელა
და აღდგა ჩრდილი ლევიათანის
ამოა ყველა ხატი ნარსულის
იათა ნისლით ნაციმციმარი

ხსოვნა იმ არით მემოგარსულა
სად ღეთის ტაძარი ჩნდა მომღიმარი
მაგრამ წყეულის დრტვინეა საზარი
სავსე სამსალით ანმყოსეულით
დუმილს აძალებს მომავლის ზარებს
დახუთულია დროის სხეული
ბინდი კალიად შემოსეულა
(არის რამეთუ ფრიად სამკალი)
მოირღვა ცა და მზე დასნეულდა
აღსასრულისა წყო კანკალი
ყორანთა დროის მაროდიორთა
სად-როს იმღერეს მარში სატანის
აქ რომ თამაშით ნყარო დიოდა
ნეტავ ისწყარო ახლა სად არი?..

* * *

იამ გაიცინა ცამდე
ნაცადი ციმციმი მდელოს
სიამის ტალღებად სვამდეს
აქ უნდა ნიავივით გვევლო
ნავი მინანაობს დაღმა
ბალღებმა დააჩქარეს დილა
გაიმინანქარა თაღმა
ზეცის უანკარეს ლილად
ნიავქარს მიენდე იავ
ენდემურ თვისტომთა გეშით
ფანტომებს ნუგეში მიაქვთ
ანანდა-მაიას ბნელში
აი ამ ანდამატურ ციალს
ცაი ამანდილებს გრილი
გაშლილი ფერადები ცვივა
მყუდრო საუფლოში დილის
ვერ გაერიდები ამ დროს
ვარსკვლაეთა ნისლეულ თოვას
თვალი იმ რიდეებს ნატრობს
ჟამმა რომ ქარებით ქსოვა
და მოვა ზარება ზარის
კვაზარებს აენთება მზერა
ის ხატი შერჩება არეს —
ქარზე რომ ეძინა ძერას
აქ უნდა ნიავივით გვევლო
სიამე ციური გვწამდეს
ცაი დასციმციმებს მდელოს
იამ გაიცინა ცამდე

ესქატოლოგიური ელეგია

თევზებმა ცარგვალს ღამე წაჰგვარეს ლამის
სხვა რული ქარგავს ზეცის გაცრეცილ მინას
რადგან მითებზე გადმოღვარული ჟამი
შეტბორდა უკვე და გაშმაგებით ყინაეს
მავად ნაგები უფსკრულს მიგელის ბინა
ზეგარდმო ძალი გულს დაგატეხდა ლოდებს
ზოდიაქური ლმმის მოგესმა გრგვინვა
მაშინ აღელდა ვარსკვლავიერი ხროვა
კვლავ იერიქონს ბჭეთ შეურყევდა ელდა
უფლის დიდება ცის კიდით-კიდე მოვა
თაეს დაუხრიდი ზეცის მნუხარე ველთა
მოლურჯო ფანტომთ რიდით შეავლე მზერა
მარადი სევდა მნუხრს მოისევდა რატომ
და აღარ ურჩობ, ღვთიურ სანახებს ზვერავ
განაბულ კირჩბიბს, მთრთოლვარე ირმის ნახტომს
სომნამბული ხარ, გჩხიბავს აურა მთვარის
მოგეხმაურა გამყინვარება ცხელი
აურაცხელი ირგვლივ სუმბული ხარობს
სიკვდილი ჩქარობს — ნეტარ გვირგვინთა მწვნელი
და ვერაგია მთვარის ამბორი ისევ
შორით მიღელავს ბნელი სიზმრების ფარა
მიზეზთა ზღვიდან გველი იწვდიდა კისერს
ვერ აგიზიდა მზესთან მიმსვლელი მარად
თევზებმა ცარგვალს ღამე ნაჰგვარეს ლამის
სხვა რული ქარგავს ზეცის გაცრეცილ მინას
რადგანმითებზე გადმოღვარული ჟამი
შეტბორდა უკვე და გაშმაგებით ყინავს

* * *

სევდისთვალება ანგელოზო ღამე გადიდდა
მეგალითებად აზიდულან ირგვლივ სულები
გეშრიალება გელოდება ჟამის კალთიდან '
გადმომთვარული სილამაზე ხელშეუვლები

ნაღველს ამხელდა სიყვარულზე ფიქრი ულევი
მიქრის ზეფირი ზენაარულ ხმებით ნაფერი
და უფსკრულები ზეცის გულში ჩაქცეულები
აღსასრულებად აღსდგებიან მძლე არაფერით

მოგეანკაროს ზესამყაროს არსი ყოველი

სფეროთ მუსიკას აჟღერებდე ნაზჰანგებიანს
ოდეს დუმილი გეხვეოდა არრის მთხოველი

გეფერებოდა ვარდისფერთა ღრუბელთა დენა
რადგან სალმობის ბჭენი წყნარად განქარდებიან
სადაც მარადი უსიტყვობის ელვარებს ენა

* * *

სამყაროს ვარდმა როს ინათა შორეუღ ხატად
სამაროვანთა მთვარეუღი ბარხატი ბზინავს
მივაყურადე ამ დუმილში შერეულ ხმათა
ღამის ჭრიჭინი ეხლებოდა ეარსკვლავთა მინას

ეხლა ვბოდავარ, კვლავ დაყურულ ზმანებით მძინავს
ჟინით და ენებით ღამის გული კედეღში ატანს
ასტრალურ ველში დაკარგული რამ შემაშინოს
კარდაკარ ვუვლი ზეცის მდუმარ ეკღესიათა
მხეცის ნიშანი განქარდება, ოდეს სტუმარი
ქაოსის კბოდეს გადმოსცდება ნათელმოსილი
სასაფლაოსი რომ განკვეთოს თავსასთუმალი

მაშინ ელვებით განათელმა ცამ გადიკაროს
იხაროს სულმა თუნდ მოხუცი დედალოსივით
სანთლის ფრთები რომ გაუკეთა ყმაწვილ იკაროსს

* * *

თავისქალიდან ღრუბლებს მიდენი
არ მოვა წვიმა და აღარ უცდი,
და გაგონდება მარტინ იდენი —
'შენზე ამაყი და შენზე სუსტი
თეკი ჰოროსკოპს ყავღი გასვლია,
ქვეყნად გერივით რისთვისღა დახვალ,
მკერდი მიუპყარ და დაგახლიან,
არ დაგამადლის არავინ ლახკარს.
ძველი რიხისგან რაც შეგრჩენია,
ყვავს არ ეყოფა უკვე სადილად,
ადამიანი რომ ხარ, გრცხვენია,
მაგრამ ვერ იქეც მაინც ნადირად.
ოცდაცამეტი წლღისა ხარ რაკი,
ევანგელური ჟამი დარეკავს,
გამოიყენე შენი ასაკი,
სხვის სათამაშო ჯვარზე გაეკარ.
მაგრამ იღბაღი სიკვდილსაც ახლავს,

გმირულ პოზაში ვის დასჭირდები,
შენ ვერ მოკვდები სწრაფად, ამაყად,
მხოლოდ ნელ-ნელა დანახშირდები.
და სინანულით გახედავ ნაპირს,
როცა ქარონის ნავი მოდგება,
შენზე სუსტი და შენზე ამაყი
მრტინ იდენი მოგაგონდება.

სასტუმრო «ორმუტსას». ქალწულის ჩურჩული

თავს რად დამესხი — რა დაგიშავე —
პარიზულ სასტუმროში;
ჩემო სამშობლოვ, შენ ვინ მოგიშვა
ელინ-ლათინთა ომში.
სუსტი გოგო ვარ, ყველა მერევა,
მტანჯავს, მაწვალებს ყველა;
შენ მოხველ საშიშ ბედნიერებად:
ნელა დამფარე, ნელა.
მეომრად მოხველ, აბჯარი გშვენის,
მომიტან ქართულ ენას;
— როსმე დაგპეპლავს სამშობლო შენი,
აგრე მირჩია ბრძენმა.
ისევ ის მწვავე ალი მედება,
ვნებას ვემონე დიადს:
ეს მე ვარ — კოლხი ქალი, მედეა —
სახიფათო ვარ ფრიად.
შენ ზეკაცი ხარ, გენი ფარული,
მთა ხარ, ზვიადი, ქუში,
მაგრამ გეშინის შენ სიყვარულის —
ვიცი, ჩაგიძვერ სულში!
და რაკი მოხველ მგზავრი გვიანი,
უკვე არაფერს ვნანობ;
მე ვარ მარინე ახვლედიანი,
ფარნაოზ მარსიანო!

სონეტი არაფერზე

მუცო. ვეზუვი.განშორების ყრუ ჩანჩქერები.
ლეგა ნაგაზი. ჰორიზონტთა რუხი არია.
მოგეარაფრა თეთრი ფარა სხვა მოფერებით:
არცა ცხადია ეს ყოველი, არც სიზმარია.

მთები გაორდა. სიშორენი ახლო არიან.
შიში ძარღვებში გაიმქრევა კვდომის ფერებით.
ქვესკნელ-ხეობის ნაჰანგარი, მასტვენარია

ვაგზალი ორის და საგზალი ბედნიერების.

ანტურაჟები მოისხამენ წითელ მანტიებს,
ზემოდან გიმზერს იალაღი გვერდით ნაწოლი,
ფიქრთა შიმშილით მონატრებას ვინ გაპატიებს,

ხელი ჰკარ ნიავს, შესაცვლელად მიმართულების,
დაყოფა ყოფად მოიქცევა ძაღლთა აყოლით:
სდუმან წამები — ნაწამებად მონათლულები.

გარღვევისა და ხილვის სონეტი

ადამის მოდგმა მეწამული ბინდისაგან იშვა.
ჭეშმარიტება მტაცებელი უნდო ცხოველის
მძაფრი სისხლივით იფოფრება დაუცხრომელი
და მისი გმინვა იტბორება ძარღვებში შიშად.

შეფარებიხარ ზოდიაქოს ავბედით ნიშანს,
დაბადებიდან სიკვდილამდე გერგო რომელიც
და გევალება, სხვა არაფერის იყო მდომელი,
რაც სამუდამოდ მოგისაჯა გენმა და ჯიშმა.

მაგრამ რა ჭია შეგპარვია, რა გველეშაპი
გხრავს და გაცოფებს, ჩამოხიე ფარდა მყობადის,
იხილე წარღვნა — საკუთარი სახე ულმობელ

წყევლით დახურული მართლურწმუნო სახე ბედშავი,
ბედ მატლთა მძლავრი ურდოები მოგზაურობენ,
აღთქმულ ქვეყანად დაუსახავთ გვამი ლპობადი.

სარკე და ვარდი

ბროლეთის კართან არილი ცივი
წყნარი ლიცლიცი დ სარკე მკრთალი
და ერთი ციდა ქალის სიცილი
სიცილი როლებს შეზრდილი ქალის
დილის ფიქალი გრილი და უნდო
შემოტბორება ფერუმარილის
მოტკბო სურნელით ქარს რომ უნდოდა
გადაელესა ყოფნის მარილი
და ლესბოსური ნელი ზმორებით
სარკენი ვარდად გადაიშლება
კვლავ სასწაული განმეორების
კვლავ სანავარდოდ ქართა მიშვება

რამდენი სევდა დარჩა უთქმელი
აწ და მარადის რომ არ ითქმება
გადაუვლიდა სანამ ღრუბელი
ლილისფერ მზეთა გადაფითრებას
მაგრამ ლიცლიცი პატარა ქალის
სარკეთა ვარდით მონაბროლევი
ბჭეთ დაცხრილავდა პატრიარქალურს
და ცახცახებდა ვნების მორევი
მარწყვის სურნელი და ფერმილევა
ქარში რომ თრთოდა დაუსრულებლივ
ნაზთა ღიმილთა კვლავ დაწყვილება
საბედისწერო შეყრა სულების
სივრცეს აფენდა ქარი ნაფერთალს
გულისმომკვლელად ნაზ ამბორებით
და მირიადი ღამე გათეთრდა
იმ შეხედრებით თუ განშორებით
და უვედრებლად დრეკდა იმ შიშებს
გადახრილობა მდუმარ სფეროთა
მზე დაფარავდა გულთა სიშიშვლეს
და იმ იდუმალ ვარდისფეროობას

ცირა

ცირა იცი რა ეწერა ცაზე
რაც აზეიმებს თვალს ის ეწერა
ქარი ავლებდა წარმავალ ხაზებს
დარიალებდა იმ ქარზე ძერა
მითხარ ზეზე რად წამოთაველდი
სიმებს სხვა ელდამ გადაურბინა
ზღვასთან მღერალი ზღვისებრ აღელდი
სად შეაღებდი სადაურ ბინას
მწყრალად იწვიმებს ვის ებრალება
ეგ სიქალწულე ხელშეუხები
წადილის გველი მოირკალება
აწრიალებულ წვრილი მუხლებით
ემაგ სახელში დილის ცა ტირის
ცირა ეცემა სახლი ოცნების
მაინც აწეწავ ყოფნის სატირებს
ვირტუალური მწველი კოცნებით
აღსრულებამდე გრძნეულ რიტუალს
მთვარეულ კდემით ნაწნავდაშლილი
ბორცვნი მაღალნი იძრან რიტმულად
ედემის ბაღის წყვილი ვაშლივით
ჩანთხეულია მეწამულ ზღვაში
ჩრდილთა სიმძაფრე ელდისეული

თვალთ იზაფრავდი ეული ბავშვი
აგეწვებოდა ბნედით სხეული
დარდი სიმღერით რომ მიგიტყუა
ზღვებით დაფარე გულისგამტეხი
აღასრულებდე გრძნეულ რიტუალს
დაარწულებდე ვნების ქარტეხილს
ცირა იცი რა ეწერა ცაზე
რაც აზეიმებს თვალს ის ეწერა
ქარი ავლებდა წარმავალ ხაზებს
დარიალებდა იმ ქარზე ძერა

* * *

მე მიგიყვანე და გაწვიე ლომის სამყოფელს,
როს სულში გედგა მომშხამველი ყვითელი სევდა,
როცა უარყავ წმინდა ფიცი იმ ღვთიურ დღეთა,
მე მიგიყვანე და გაწვიე ლომის სამყოფელს.

შენ მას ეძახდი აღმოსავლის კარად მოსული,
ელოდი ღიმილს შუადღისას, ან იქნებ წყრომას,
მაგრამ რაისად მეორგულდი, მცირედმორწმუნევ?
არ შემოგხედა, არ მიგიღო დიადმა ლომმა.

* * *

მე რომ მომკალი ერთხელ ღალატით,
დროა, ამ ცოდვის ნაყოფს იმკიდე,
ღმერთთან მიდი და სანთლები ანთე,
მოინანიე და განიწმინდე.

მოინანიე, მოიხსენ ლოდი,
მხოლოდ საფლავი ჩემი გახსოვდეს,
ღმერთი დიდია და გიხსნის ცოდვილს,
მაგრამ მე მაინც ვერ გამაცოცხლებს.

ქალბატონ ლონდას ქალიშვილი

ქალბატონ ლონდას ჰყავს ქალიშვილი,
პენელოპეს რომ მოჰგავს იერით,
არვის უნახავს იქნებ შიშველი
იმისი მკერდი დიდმშვენიერი.
სულ მეჯლისებში ატარებს დედა
ვერ ეწყობიან პლებეურ პარადს,
პუდინგი უყვარს სოსისზე მეტად,
სასიძოებიც არტყია ჯარად.

. . . . . .
მეწამულ ბინდში ფშვინავს ქალაქი,
პირში საკუთარ კუდგამოჩრილი,
ხვალინდელ დღისთვის აზრებს ალაგებს,
მუდამ საკუთარ აზრის მორჩილი.
სადღაც კაფეში მთვრალი დოქტორი
საღვთო დოგმატებს შუბლით ეხლება,
ქალაქს წელს მოსწყვეტს უდაბნოს ტორი,
როდესაც მარსი ტატნობს შეღებავს.
კამიუს ხმაში ჩნდება ეკალი
და ის საფლავში კენწლავს სპინოზას,
მოგზაურები ჯუნგლებს ჩხრეკავენ,
აღმოაჩენენ ალბათ დინოზავრს.
როგორც მრავალგზის უთქვამთ მეცნიერთ —
თვითონ რწმენასაც სექსი წარმართავს,
მონასტრის კარებს ბევრჯერ ვეწვიეთ,
გამოვისტუმრეს ბევრჯერ წარმართად.
ღამით კარავთან შეყრილ ტურისტებს
მოდურ ერესის აწვალებთ ვნება,
ვიღაც ყვირილით უარყოფს ქრისტეს
და შავი ფუნჯით ვარსკვლავებს ღებავს.
და სამყაროზე, სადაც ღალატის
და ინტრიგების ხრჩოლავს ალმური,
ნაცვლად ცეზარის თუ ბონაპარტის —
გამეფდა ბომბი გენიალური,
და უსახელო ჯერ მოციქული
პოლუსებს აყრდნობს ორივე ლოყას,
გაგლეჯილ მკერდში მოუჩანს გული,
რომელსაც მთელი მსოფლიო ლოკავს.
დაყუდებულა და უმღერს მარტო
ფატალიზმსა თუ გარდუვალობას,
ცივილიზებულ მსოფლიოს ართობს
ამ ორხმიან ვარხვის გალობა.

. . . . . .

ქალბატონ ლონდას ასული რომ ჰყავს —
კეთილშობილად აღზრდილ-ნასწავლი,
მალე მის სათუთ მძინარე ლოყას
ეამბორება ბედის ვარსკვლავი.
დედისერთას და ბედის ნებიერს
დრო რომ ფისოსთან ალერსში გაჰყავს,
თავთით ჭინკები დაუსხდებიან,
ოქროსფერ პრინცის ეტყვიან ზღაპარს.
მაგრამ ძვირია დღეს ოქროს პრინცი,

და რომანტიზმთან შენაწონები
ამოქმედდება ოქროს პრინციპი —
ეს შარავანდი დედურ გონების.
და სათუთ გოგოს, რომელსაც იქნებ
ერთ დროს სიზმარში ქრისტე უნახავს,
შესთავაზებენ ცხოვრების წიგნში
აღბეჭდილ სიბრძნეს გადაულახავს,
შესთავაზებენ ოქროვან ბადეს
და სელექციურ თვალისსიერთა,
სასიძოები უძღვნიან ვარდებს,
ბოლოს ერთადერთ ცოლად შეირთავს.

უკანასკნელი ჟამი

დრომ დაიქუხა — დრო შემოიქცა წყრომით
აღდგა მარადი და შორეული რომი
ორეული რომ დაისის ლანდებს სდევდა
მიანდე ბაღებს წყეული სევდა ისევ
აღებს მომავალს და მტერთაც შემოისევს
სამკვიდრო შენთა ნისლად მდუმარე ხევთა
დრო შემოიქცა — მარეხ ენთება ომით
მზე მწუხარეა იქ ცათა შინა მდგომი.

არ უხარია და შეაშინა ელდამ
მედროშე ველთა — ვარდი როს გაიელდა
მთავარია რომ გადინადიროს მთვარის
საუფლო ძველი თუნდაც იარონ ჟამთა
უკუსვლით ანდა თქვან რა სახმილი ჭამდა
უკუნს რომელიც კვლავ უძლეველი არის
რომელიც დღემდე ვერცავინ მოიხელთა
თუნდაც მპყრობელმან იმ ვარსკვლავიერ გველთა

ვერცხლად ეფინა უჟამო ჟამის კარავს
შუქი მდაგველი — ხსოვნას რომ ქარით ქარავს
ზეფირის ტალღებს თავს მიანდობდე კრძალვით
კრისტალურ ზეცის შარავანდობა გწამდეს
ირეალურზე ფიქრი ზარავდა რამდენს
რომ დახრილიყო მიწამდე წვერი ალვის
გრიგალით მაგრამ კეთილს იქმოდა არ ავს
წამი რომელიც უსასრულობას ფარავს.

იქ მოდარაჯე კბილგაბასრული მხეცი
ცად რომ დაამხე — ცით მოდენილი ცეცხლით
ოდენ სრულია სამყარო — არა ჯერ არს

ამხელა დროს და სივრცეს უჩინო ზღვარი
ამგვარ უჩინო მზერით ნელდება ჯვარი
ჩინებულთ ამხელ და უბოლოო ჩქერალს
მიღმიერ ნათლის კვლავ დაუტბორავს ვერცხლი
ჩრდილთა ცვლას მაინც ვერარა ძალით ვერ ცვლი

დრო ისევ მოჰქუხს — ვერაგ ფანტომთა მბადი
უნდა მოჰფანტო მთა-ბარს ვარსკვლავურ ბადით
კვლავ ურიცხვ გუნდად შემოსეული ტომი
უცხო სამყაროს ეულ სივრცეთა გულში
შობილი გუშინ — მკლავნაყარი და ქუში
იმ წყაროსეულ ცხოველ სიახლის მნდომი
შემოსე მადილით — სანდო მითებად მდგრადი
ომით რომ თვრება და ხაფი ზარით ჰხადის

რაც რომ ებადა — ცა ცისარტყელით რკალავს
ჰაფიზ არ ითხოვს საადის მძიმე კალამს
ელია მოსეს არცა როს ელის არსით
ალი თოვს და მზეს სიკვდილი უჩანს არად
ოდესცა გმირმა სარკე ჩაბღუჯა ფარად
უდაბურ მზერით კვლავ ინთებოდა მარსი
აფრიალებდა არყოფნის ყვითელ ალამს
დაბურა ველი მძაფრი სალმობის ძალამ.
რაველის ჟღერად მოგსალმებოდა სივრცე
რად მოგესურვა - სივრცეს რომ თავი მისცე
ცერად მოგეზილ მთებზეც იქუხოს ჟამმა
ურვა-წუხილი მოგეზვირთება ქარის
წუთით იხილავ არარას ყვითელ არილს
და თითქოს ნათობს ციურ ბგერათა გამმა
რათა იურჩოს გულმა — კვლავაც რომ გიცემს
წაგსკდება ცრემლი — თვალს ვერ უსწორებ იმ ცრემლს.

ვარსკვლავ-მძორებად მოედინება ლავა
ის მაღლამხედი ნება ინთება ავად
დაღლა-კირთებად როს მიიქცევა ტანი
ვოტანის რისხვა შიშს აუტანელს გვრიდეს
შიშველ ორეულს — სხვარიგ რომ იხდის რიდეს
ხელთ ცოფმორეულ ალში იშვერენ სხვანი
რომი კვლავ ბორგავს — რით დაიდებდა რა ვალს
მზარდი მორევი ზარით შთანთქავდა მრავალს

ომი კვლავ სრევა — ორგიებად როს ღელავს —
მზის ეულ ბადროს დაეზარნიშა ელამს
შეება დროს და მრავალ სამსხვერპლო ნიშთა
სისხლი აპკურა მიწყივ მწუხარე მზემან
არესის მახვილს სდევდა მეწყერით გვრემა

ისმა გოდება — ცრემლით დაძრწოდა იშთარ
ოდენ უშორეს სიშთა ქუფრობით ელავს
თუმცა ამაოა — ბნელი უფრორე ბნელ არს.

მაოტარ ლანდთა ველი არ იჩენს კიდეთ
ვოლანდი უფლობს — რასაც რომ თვალი ჰკიდე
შიშველ მომავლის თითქოს ევალოთ ვალი
წინასწარმეტყველთ იმ გარდასულთა დროთა
ტყე-ველთ მწე ხარ და სულთა გრიგალი ჰქროდა
გარნა ემოსა სიონის ასულს რვალი
ხამს — ტყვე მიწისა — მწარე მოსავალს მკიდა
და ბნელთა ხაროს ბნელის ეფაროს რიდე

სიმრავლე სულთა ელისეს წყევლით გმინავს
სიზმართ კაბადონს — წითელს ისე ვით ინას
ხმალთა ლესულთა გარდაუსახეს ჯვარი
მთვრალ ხვალეს უნდა ციერთ დაბადონ მხსნელი
და გაიტრუნა ხეს მოგრაგნილი გველი
აბადონ მკვლელი — სიკვდილის ბჭესთან მდგარი
თავს ჟამს ელის ჰკვესს ავი მზერით მინა
გარნა საესავს კაცთა არღარა სძინავს

არღარა სძინავს გარნა საესავს კაცთა
ომის ნაღარა ქუხს — გალაქტიკებს გასცდა
ხადილი იგი — დასი ციერთა ბორგავს
აქტი ორგაზმის ახლოა დილის ზღვართან
ზღვამ შეიერთა — თვის ტალღებში ართავს
დასაბამიერ გველის მძვინვარე გორგალს
ცით ჩამოვარდნილს — და აღსასრულის განცდა
გალაღებს ხილვით ძლეულ სამეფოს განძთა

და მოჰქუხს იგი — უკანასკნელი ჟამი
ჟამი კრავისა — ერთად შემკრავი სამის
ელის ნამგალი აქტიურ მზეთა სამკალს
ამ გალაქტიკურ ნისლეულთ მიღმა ჰგიებ
ის ეული ხმა ესმოდეს ვარსკვლავ-მთიებს
მომიხსენებდი ოდეს საუფლოდ დამკალ
და როს დაიხსენ სიტყვა მარადი წამის
წმინდანთ ევალა მიწყივ ღაღადი — ამინ

წმინდანთ ევალა მიწყივ დიდება მამის
თვალი დალამდა იმ ნეტარ ცრემლთა ნამით
ალამდარ იყავ — გვიხსენ და ჩვილნი ისხენ
არამთ გარიყავ — ხემან დაბურა იქ ცა
წარსულ-მომავლით აწყმყოს ხატებად იქცა
და მოჰქუხს იგი — მოირხეოდა ის ხე

და კვლავ ისმა ამინ — როს ერთად იქმნა სამი
და მოჰქუხს იგი — უკანასკნელი ჟამი

* * *

ნადეჟდა დეიდას შაბათ საღამოს
მუცელი ასტკივდა. ჭიების წამალი
დაალევინა არქიფო ექიმმა
სასწრაფოდ.
და იქმნა ომი საზარი
ნადეჟდა დეიდას საწყალ სტომაქში.
ხოლო კვირა დილით
მან ასკარიდას
ან თუნდაც სოლიტერის მაგივრად
შვა ურწმუნო — უშველებელი, საზარი,
რომელმაც იქვე მიდარეჯებულ
არქიფო ექიმს
თითზე უკბინა.

ბალადა ჯელტმენის შვილზე

ერთ დროს ხომ ბავშვი იყავი შენაც,
ჰეი, ჯელტმენის შვილო!
როს ინდაური გეჩვენებოდა
მარტორქად, ანდა სპილოდ.

ბაყაყთ კონცერტი გემახსოვრება
ღამით, მდინარის პირად,
ყვავების დაშლა მარტივ მძორებად
დღემუდამ, განა ძვირად.

და შავგვრემანი პატარა გოგო
ხელში პატარა ლიფით,
მესაიდუმლო ბებერი კიბო —
ფრიად მურდალი ტიპი.

ჰეი, თუ გახსოვს, ბებერო ტიპო,
ტრფობა, გინებით სავსე,
რა შავგვრემანი დღეები იყო,
გოგოს იღლიის მსგავსი.

და რომ მკლავებში იწექ ყელამდე,
დილის გველივით გრილი,
ეფარებოდა მზეს და ყველაფერს
კახპა-მეძავის ჩრდილი.

სხვათა სარეცელთ მარტივი წყება —
შენი ტიფი და ჭირი,
თავში ცემა და არდავიწყება —
ორივ ღმერთივით ძვირი.

დრო გაპარულა — ქურდი გოგონა,
და უსასყიდლოდ კვდება,
შენს მოკვდავ სიფათს ვინ დაეკონოს,
ვინ დაგამტვრიოს ძვლები.

ვინ ყრუ, რა მღვდელი უნდა მოვიდეს,
როს ჩაბარდება პატრონს,
ფეხქვეშ გინებით ვის ამოიდებ,
ვის დაუკურთხებ ამ დროს.

შენს ბღავილს ვინღა მიაპყროს სმენა,
თუნდ გაიბერო სპილოდ,
ერთ დროს კი ბავშვი იყავი შენაც,
ჰეი, ჯელტმენის შვილო!

შენს კვნესას ვინღა დაადოს ფასი,
ღმერთს რომ შერჩები მარტო,
მოგაგონდება მრავალი ფარსი —
მრავალი ფარსის ავტორს.

მოგაგონდება ყვავთა გოდება
თვინიერ ყოველ ამის,
ძველნი სწავლანიც მოგაგონდება
შენი ჯელტმენი მამის.
არც ანგელოსო, არცთუ ვამპირო,
მიწას გართხმულო სურო,
კაცო ბებერო და უნაპირო,
ჩემი სამყაროს მდგმურო!

როს ოცნებანი დამეღლებიან
და არც სიზმარი მართობს,
მე შენ გიგონებ — ფუჭს და ვნებიანს,
შენ მაგონდები ამ დროს.

შენი ჩივილი მომწვდება მაშინ,
შენი მწუხარე კილო,
ხომ შენც ყოფილხარ ოდესმე ბავშვი,
ჰეი, ჯელტმენის შვილო!

* * *

ქალბატონმა ნ. ო.-მ ამასწინათ
უკანონო ბავშვი შვა. განცვიფრდა ქალაქი.
ამ ქალბატონს ხომ არასოდეს უყვარდა სექსი,
თანაც გახლდათ ორმოცდაათის.
გამოირკვა, რომ ყველაფერ სიკეთესთან ერთად
ქალწულიც გახლდათ მშობიარობისას.
— ბევრი რამ ხდება, ჰორაციო!.. — შევყვირე მაშინ,
მაგრამ ჰორაციოს უგრძნობლად ეძინა,
რადგან ყელში ამოსვლოდა ჩვენი სიბრიყვე:
ჩვენ ხომ დღემდე ვერ შევძელით
გაკვირვების უნარი დაგვეკარგა
და ძველებურად გვიყვარს ჭორებიც.

ალუზიები

«არიან დღენი...»

გალაქტიონი

არიან დღენი გასაოცარნი:
მოგელანდები ლანდი მარტორქის,
ან დაგაფიქრებს ფიქრი არყოფნის,
ვითარცა ჰამლეტს –
არიან დღენი გასაოცარნი.

ძმურად დაიწვენ მკლავზე კარგ დობილს,
თუ ხარ ვაჟკაცი, თუ ხარ ფშაველი,
გადაიარო უნდა ცხრა ველი,
თუ გსურს იხილო ველი მარტყოფის.

თუ გსურს იხილო ჟამი ვარდობის,
უნდა ეტრფოდე მეფეთა ასულს,
ფლობდე ლათინურ ენას გარდასულს,
თუ გსურს შეება ღამის მკვდარ პროფილს.
უნდა ეტრფოდე მეფეთა ასულს –
პარიზით მოსულს;

ესე სწავლანი ვუწყოდი ფრიად.
ვეომებოდი ღამით კარტოფილს;
რისხვას ვატეხდი წყვდიადის წიაღ
მცენარეს უშნოს და უარყოფილს.

არა, არ ვიყავ წყნარად, დამნდობი,
მაინც ზღვას ფეხით ვერ გადაუვლი,
მაგონდებოდა ზოგჯერ ვან გოგი
და ზოგჯერ ბესიკ ხარანაული.

წუხილი ზოგჯერ ამოკლებს დრო-ჟამს,
წუხილის ლანდი მოდგა იმერეთს,
მეუბნებოდა: მართალსა როშავ
და მაინც არვინ არ დაგიჯერებს.

გიორგი კორნაპელს

ჰიპნოსის მხარეს ყვავილები მოედებიან:
რა უსასრულო ნაკადებია,
სიზმართა შორის კივის წარსული,
სიზმართა შორის მომლანდებია
შიმშილი ცამდე აწვდილი სულის.

ყვავილნი ცოდვილთ შეიწყალებენ.
მაგრამ ეროსი მოგწვდენია და ხარ დაჭრილი,
დროთ უდაბნოში გამომწყვდეულ წმინდანს, მწვალებელს
შეგყვარებია ლედას აჩრდილი...

უდაბურ ქმნილხარ უდაბნოს თოვლით,
გამძვინვარებულ სევდის ყინულით,
აღანთებ სანთელს და პირველ ყოვლის
საკუთარ სიზმრებს ხარ შეწირული.
ხელთ დაიკრეფ და აჰა განიხვნენ
მაღალ-ღრუბელნი და შვიდნი ცანი,
მომავალ ომთა ვარამს გაგიმხელს
გედით შემსჭვალულ ასულის ტანი.
და ანგელოსის მახვილი რეკავს
შემრისხავ ელვად, რადგან წყეული
(ვით გაწამებულს ნეკნით პირველკაცს)
სამოთხის გველი გყავს შეჩვეული!

დროთ უდაბნოში მომწყვდეულხარ მწირი ეული

ბალადა გიორგი კორნაპელზე

სვირი. კორნაპას სერი.
სოფელს ღვთის ხელი მართავს.
სერისძირს უდევს ბინა

მგოსანს — გიორგი მართალს.
გალაქტიკების ჩქერი
სენაკს აურად აკრავს:
შიგ ზის პატარა ნინო,[1]
თეთრონ ყვავილებს ხატავს.
ჯვრებით მოხერგილ ეზოს,
მხნე და ძარღვიან ვენახს
რძისფერი ნისლით ლამავს
ირმის გახსნილი ვენა.
ამკობს გიორგი ეზო —
ტერულ ქარაგმით ენას
და ვით დალაი ლამა,
თხემით ეყრდნობა ზენას.

და აწვალებდა ჯვარი
მოგვს და წინასწარმეტყველს
(რა წალდით კაფავს სული
ქვეცნობიერის ბნელ ტყეს).
ჩაეთათბირა სურვილს
და თქვა გიორგიმ ერთ დღეს:
უნდა აღვმართოთ ჯვარი
ციურ კორნაპას სერზე!
შემოიკრიბა მრევლი,
ჰგავდა ბერსა და მისანს
(კორნაპას სერზე ქარად
სული მიმოჰქრის ღვთისა).
მხნე და მღელარე ჯარად
შემართებული მიზანს,
ეზიდებოდა მრევლი
მთვლემარე სხეულს ჯვრისას.

ჯვარი რკინისა, სადა
(გარდამხვეწელად ბილწთა)
დარგეს მწვერვალზე სერის,
შემოუტკეპნეს მიწა.
და ცის დასავლით, სადაც
წყნარი დაისი იწვა,
ვეება, ოქროსფერი
ჯვარი გამოჩნდა იმწამს...
ჯვარი გამოჩნდა მძლავრი —
სიზმარში როა ისე
(ზოდიაქონი კრძალვით
მანდ მოიდრეკენ კისერს).
ჩანდა, ელავდა დიდხანს...
მრევლიც ღელავდა ისევ:
იდგა გიორგი ვითარც

ელდით შემკრთალი ქრისტე!

და იშვა ბაგით სიტყვა
ზეცის მდუმარე ველობს:
მოველ და სათნო გიყავ,
ძე ჩემო საყვარელო!

* * *

წუხელ სიზმარში დავწყევლე ყოფნა
მზემ მიმატოვა და ვიყავ ობლად
მაგრამ ვიგემე ტრფობა ახალი

ინდოეთიდან მოცურდა კობრა:
ნაა — ჩემი მზეთუნახავი.

* * *

უნგრელთ ნანგრევებზე აღმოჩნდა ლომი
აღმოჩნდა ლომი და დაიწყო ომი
როდის დააწყვილეს ათასწლეულებმა
ომი და ლომი.
ეს შენ ხარ ვარსკვლავი
წითელი საზარი
ბოროტის მნდომი
უნგრელთა ნანგრევებს შემორჩა ლომი.

* * *

«სალამი სევდავ!»
ეშმაკეული
ჩამესაუბრა ღამის სიოთი,
«ამ წუთისოფლის დაბზარულ გზებზე
უფლება გქონდა და მიდიოდი».

«სალამი სევდავ!»
მესმის ხმა შორი,
ისევ მოჟონავს სინათლის ჩრდილი:
«სურვილი არ გაქვს და ვეღარ ივლი», —
მესმის ხმა შორი,
მეწამულ ღამით, რომელიც ითხოვს:
«ნება მომეცით, ვიყო ზოგჯერ ირონიული,

ნება მომეცით, ნამდვილი ვიყო!»
მეწამულ ღამით, როცა გმნავს ლანდი მარსისა:
«რამ მიგარინდათ ჩემო ძმებო, ჯვარი გეწეროთ?»
სილამაზისგან დავისვენეთ, სილამაზისგან!»

დალის ლექსი

დუმილი სამარეა
ავადგაყინულ ზვავში
მიშველე ლამარია
მე გევედრები ბავშვი

თოვლის ავაზად შვენი
დამიყვავებდე სტუმარს
ფუნთუშა თათი შენი
თავზე დამადე ჩუმად

ზღვას რას დააკლებს ქარი
მე ნაფოტი ვარ ზღვაში
და გულში ჩამიკარი
გარდაცვალების ახლოს
ჩემი სულია ქარი
ჩემო დედავ და სახლო
თოვლისა მქონდა თურმე
გადაუხდელი ვალი
ეს მე ვკვდებოდი დალი
და ზეიმობდა თოვა
ნეტავ მქონოდა ბრალი
ნეტავ მცოდნოდა გლოვა

დუმილი სამარეა
თოვლის ავაზად შვენი
ზღვას რას დააკლებს ქარი
თოვლისა ვიყავ თურმე
წითელთმიანი ქალი

ავადგაყინულ ზვავში
დამიყვავებდე სტუმარს
მე ნაფოტი ვარ ზღვაში
შენი ხელები სდუმან

მიშველე ლამარია
ფუნთუშა თათი შენი
მკერდზე შემახე ჩუმად

მე გევედრები ბავშვი

* * *

— ადამიანობაა ეს ცხოვრება,
სხვა არაფერი! —
სკეპტიკურად თქვა,
იხილა რა თვისტომთ საქმენი
ბრძენმა შიმპანზემ.

* * *

აღარ ვარ ბავშვი. გადაიშალა მწვანე ფურცელი.
ჭაღარაც მაკრთობს. გამიმრავლდა სიზმრები ავი.
მეუბნებიან: მწუხარებას არ მისცე თავი
(აღარ ვარ ბავშვი. გადიშალა მწვანე ფურცელი).
ფერშეუცვლელი დახვდი ავდარს, ფერშეუცვლელი!
მოდის ავდარი — ამირანის ვეშაპი შავი
და თუ ამოჰყავ მის ხახაში ჯიუტი თავი,
ალმასის დანით გამოფატრე ბნელი მუცელი.

ფერშეუცვლელი დახვდი ავდარს, ფერშეუცვლელი!

და თუკი მართლა არ შეჰფერი ამ საუკუნეს,
ჭუპრად იქეცი, აღორძინდე იქნებ სხვა დროში,
ეს საუკუნეც გადაივლის, გადიგუგუნებს
თავისი კვამლით, უხამსობით, სისხლით და დროშით;
განზე გადექი, ამ მასკარადს მშვიდად უყურე,
ჭუპრად იქეცი, აღორძინდე იქნებ სხვა დროში.

ნამდვილი ამბავი

ძალიან მომდგამს უიღბლობა.
შევნატრი იღბლიანთ:
თუკი სხვები ღრუბლების ცქერისას
ხედავენ:
ფანტასტიურ არსებებს,
კოშკებს ოცნებებისას,
საყვარელ ქალის თუ კაცის სახეს
და თვით ღმერთსაც კი —
მე — გატანჯულმა ადამიანმა
ერთხელ მოლურჯო-ტყვიისფერ ღრუბლებში

ვიხილე პროფილი ლ.ი. ბრეჟნევისა —
ჩამავალ მზის სხივით განათებული.

მწვანე დიალოგი

(ქალწული და ქალბატონი)

— ო, ქალბატონო მხოლოდ ბრძანე შენ მხოლოდ ბრძანე
მთელი საღამო ვიოცნებებ შენს ლამაზ ქმარზე

— აგრე ქალურად ნუ მიყურებ აგრე ქალურად
თვალებს ერიდე შენი სხივით რომ დაღალულან

— ო, ქალბატონო მხოლოდ ბრძანე შენ მხოლოდ ბრძანე
ამ თეთრ ღამეში შევიშლები შენს ლამაზ ქმარზე
ამ თეთრ ღამეში გამაბრუე ჯადო–სიტყვებით

— წითელი თმებით ნუ მაშინებ წითელი თმებით

— სიზმარი მწვანე ქალბატონო სურვილი მწვანე
ო, ქალბატონო ოღონდ შენ ბრძანე შენ ოღონდ ბრძანე!

— აგრე ქალურად ნუ მიყურებ აგრე ქალურად
შემკრთალა მთვარე გაცრეცილა და გაპარულა
შემკრთალა ღამე დაფლეთილა და არეულა...

— აგრე გველურად ნუ ჩამხედავ აგრე გველურად

... ო, ქალბატონო მხოლოდ ბრძანე შენ მხოლოდ ბრძანე...

* * *

რა უგნურად იყავ კეთილი!
(დამნაშავე ხარ დიდად!)
ვინც შეივრდომე და მოეფერე,
ყველა გაფუჭდა წმინდად!

ვინც გააღმერთე და ეთაყვანე,
გაგიდიდგულდა ხელად,
და... ყველამ დინგი ნაგავში წარგო
(დინგი გაუჩნდა ყველას!)

შენ ყველამ ქვა და ლოდი გესროლა,
არ დაეზარა ვისაც,

შენი ამაყი თეთრი არწივიც
მხდალ სირაქლემად იქცა...

რა დაგრჩენია? იქცა სამყარო
დიდ, უსასრულო «არად»,
ჯობს ორივ თვალი ამოითხარო
ოიდიპოსის დარად!

მედიტაციები

«ძაღლი ღრღნის მთვარეს,
მთვარის დაბლონდილ თვალს»
გიორგი კორნაპელი

1
საავდრო ძაღლმა დაღრღნა ასტარტას ძვლები.
წვანან ქალები დინჯად ცოხნიან თივას.
თუ აქამომდე ძვლების ნათელით ვძლებდით,
აწ ჟამმა დაჰკრა: ცხოვრების ბჭესთან მივალთ.
მკვლელობა. სიძვა. მარტოობა და კეთრი.
ჯიბრში ჩადგომა. მსტოვარის ბნელი თვალი.
მაინც აღჩნდება სადმე მანდილი თეთრი
                და მომავალი
                თევზის თვალივით მოჩანს;
მაშინ ვღაღადებთ: გვიხსენ, უფალო ღმერთო!
შემოვესწრაფვით მისი სისხლ-ხორცის ხონჩას.

2
ჩვენი ბავშვები ცის თაღზე ნადირობენ.
ვარსკვლავთა ხროვას მარჯვედ ესვრიან ისარს.
თვალებს უჩხვლეტენ პირველმარადის მშობელს
და იგრაგნება ავი დუმილი ცისა.
სიკეთე. ნდობა. სიყვარული და სითბო —
რომელ ამათგანს აიტანს ხორცი ავი,
რომელიც მარად ცოდვით აღგზნებას ითხოვს
და შეგვიწირავს მისთვის ერთგული თავი?
ჩვენი ბავშვები მძლავრად უტევენ ზეცას:
ისმენს სამყარო ძლევის ავბედით ყიჟინს;
ზოგჯერ დავტირით ბომბით განგმირულ მერცხალს,
                კიბორჩხალაა შიში
                და ჩუმად დაგვღრღნის;
უფალსაც ვყიდით ზოგჯერ ოცდაათ ვერცხლად.
ღამეულ ცაზე ღმუის საავდრო ძაღლი.

3
საფლავთა წიაღ დავეხეტებით სიზმრად.
გვამთა ნადიმზე გვპატიჟებს მომღიმარი
კომედიანტი. — ვთვრებით, ვეწევით სიძვას:
ვკვდებით ცოცხლები და ცოცხლდებიან მკვდარნი.
სიკვდილ-სიცოცხლე არის მარადი ფარსი:
უძირო ხახა უჩანს კოსმიურ ვეშაპს
და სიყვარულის უკუნი ქვენაარსი
მიედინება თქეშად
მდუღარე ლავად:

დინება იგი კვლავ ვარსკვლავებზე გვგეშავს —
დამუქრებულნი მეშვიდე ცაზე ა ვალთ.

4
სხედან კაცები, გველის ხორცს ჭამენ უმად.
განიბრძნებიან, გონი მძიმდება ჯანღით.
თუ ავდარია, საფლავში ვწვებით უმალ
და მკვდარ სამყაროს ზარავს ღმუილი ძაღლის.

ჩვენ ვართ უნდონი. და ბოროტება გვხიბლავს
(თუმც სიკეთეზე მრავალჯერ დავდეთ თავი)
და სათნოება გვექცა ქიშპად და ჯიბრად,
                                    უმანკოება კრავის
                                    ვაქციეთ ნიღბად:
ნიღაბი იგი ნაყიდ სამოთხედ ჰყვავის
და ხუთავს ჩვენს სულს მისი ფარჩა და დიბა.
სხედან კაცები, უმად გველის ხორცს ჭამენ.
და აღსასრულის ისმის ნატიფი ჰანგი
და ვსვამთ მოყვასის სისხლით ავსებულ ჯამებს
                                    და სიძულვილის ბანგი
მომავალს წამლავს
და მაინც ვმღერით ვიდრე სულს შეჭამს ჟანგი:
ვუსმენთ განთიადს. ჟინით აღერღილ მამალს.

5
აწ ჟამმა დაჰკრა. ცხოვრების ბჭესთან მივალთ.
ჩვენი ბავშვები მძლავრად უტევენ ზეცას.
წვანან ქალები, დინჯად ცოხნიან თივას.
სხედან კაცები გველის ხორცს ჭამენ უმად.
უფალსაც ვყიდით ზოგჯერ ოცდაათ ვერცხლად.
თუ ავდარია, საფლავში ვწვებით უმალ.

და აღსასრულის ისმის ნატიფი ჰანგი
                                    და სიძულვილის ბანგი
                                    მომავალს წამლავას

და მაინც ვმღერით, ვიდრე სულს შეჭამს ჟანგი:
დამუქრებულნი მეშვიდე ცაზე ავალთ.

კიბორჩხალაა შიში და ჩუმად დაგვღრღნის.
თუ აქომამდე ძვლების ნათელით ვძლებდით.
ღამეულ ცაზე ღმუის საავდრო ძაღლი.
საავდრო ძაღლმა დაღრღნა ასტარტას ძვლები.

* * *

მემუქრებიან მიტოვებით და უარყოფით.
მე ნიღბებს ვიგლეჯ. — დაგროვილა, ღმერთო, რამდენი!
ზრიალით მოდის მომავალი — ჟამი არყოფნის,
ჟამი სიგიჟის, დაცემისა, წყევლის, განდევნის;
მემუქრებიან მიტოვებით და უარყოფით.
რად მემუქრებით მიტოვებით და უარყოფით?
მიტოვება და უარყოფა ძმებია ჩემი,
მე მათ გარეშე ერთი დღითაც არ მიცხოვრია,
მე ნიღბებს ვიგლეჯ: აჰა, ჩნდება სახე ნაგვემი
და გადარჩენის მწვანე ხავსი ისე შორია,
ხელის გაწვდენაც აღარა მსურს, ძალა არ მყოფნის,
ცოფმორეული მომავალი ნთქავს ისტორიას
და ყველა ტაძარს სიყვარულის — ვხედავ დამხობილს!

... ნუ მემუქრებით მიტოვებით და უარყოფით...

არ დამიჯერე

არ დამიჯერა: მოქნილი წელი
ღრუბლებში ჩანდა მოქნილი წელი
არ დამიჯერე: ფხიზელი იყავ!
მე მთვრალი ვიყავ — ვერ გამიძელი...

არ დამიჯერე: იჭმა დამაზრო
და იქნებ ჯობდა სულ არ მენახე
სიზმარეულმა კაცმა შესძახა:
საით მიდიხარ თეთრო ლამაზო!
და იქნებ ჯობდა სულ არ მენახა...

არ დამიჯერე: პეპლები თრთოდნენ
მთვარეულების სანაპიროდან
რაკი მოხვედი ნუღარ წაგვიხვალ —
ერთი ობოლი გოგო ტიროდა...

კვლავ მაცდურიბდა თეთრი ღრუბელი
არ დამიჯერე: მოქნილი წელი

მოაფარფატა თეთრმა ღრუბელმა
თრთოდა ობოლი გოგოს პერანგი
ლამაზი მკერდით თრთოდა ვერაგი
ნუთუ წავაო? ასე იკითხა
დაიღავღუვეს მთვარეულებმა:
თეთრო ლამაზო საით მიდიხარ!
სულ არ მენახე ნეტავ თავიდან
მოქნილი წელი... რაღაც თარსულად
როგორც მოვიდა ისე წავიდა
როგორც მრავალი ადრე წასულა...

არ დამიჯერე: თეთრმა ღრუბელმა
როგორ დაპეპლა სევდა ულევი
კვლავ ბობოქრობენ მთვარეულები
მაგრამ არ ჩანდა გამოსახედი
ისევ ტიროდა ობოლი გოგო:
თეთრო ლამაზო რატომ წახვედი...

დიდი მაია

მიწის წითელი განსაცდელი ფრიად მწვავეა.
მაია!
მე შენ დაგინახე და მომაგონდი,
ეგ შენი მკერდი წარწყმედილთა სალოცავია,
საოცარია...
დაბინდულ მზერას ტალღასავით შემოაგორდა
და ისევ გაქრი...
როგორც ქრება სიმწვანე ველთა:
მწვანე ფრინველი ოკეანე შენ იყავ ქნარი
რომელსაც ფლობდა ჰომეროსი — ანტიკურ ღმერთად
გალაქტიკების ზღუდეებთან ზვიადად მდგარი

* * *

სიზმარის კარები გამიღია — საყვარელს ველი
ეს მთვარე — ჩემი მიბნედილი არისტოკრატი
როგორ დაირცხვენს გაწითლდება თვალისმოკვრამდის
შენი თვალები დამმარხავენ ოდესმე ნელლი
მინდა გიშველო და ვერას გშველი
მაგ გულზე ნეტავ ვის გაუვლია
შენი სისუსტე ძრწოდა ამ ღამით
ო ეგ სისუსტე სიყვარულია
ო ეგ თითები რომელთაც ვეტრფი
ჭლექიან მთვარეს რას უმღერიან

შენ ხარ დემონი და შენ ხარ ფერფლი
ეგ შენი თმებიც ფერფლისფერია

მწვანე ვარსკვლავი

(ჯაჭვური რეაქციები)

რადიაციის უდაბნოში ჩვენ ერთურთს ვხვდებით:
გვაქვს გამოვლილი ქალაქები, მრავალთმრავალი —
ილუზიისა, სიამისა, ღალატისა, შიშის —
და წყურვილიღა შეგვრჩენია, ვართ გამომშრალნი,
რადიაციის ალმურია გულგამთოშავი,
გადაშლილია ძველი წიგი სიბრძნე-სიგიჟის,
მწვანე ვარსკვლავი, ცად მუქარით ამომავალი,
ჩვენი ბედია, გათანგულნი მისით მოვკვდებით.

ქალაქს კი მზერა უბნელდება ამ ბრწყინვალებით:
ქალაქის მკვიდრნი ვერ იტანენ ამგვარ ვარსკვლავებს;
ო, უკან აღარ მიიხედო, მათი თვალები
მიგაბრუნებენ, საჯალათო კუნძზე დაგკლავენ!

. . . . . .

რადიაციის უდაბნოში გვაქვს გამოვლილი
ილუზიისა სიამისა და წყურვილიღა
რადიაციის ალმურია გადაშლილია
მწვანე ვარსკვლავი ცად მუქარით ჩვენი ბედია
ქალაქს კი მზერა უბნელდება ქალაქის მკვიდრნი
ო უკან აღარ მიიხედო მიგაბრუნებენ

ჩვენ ერთურთს ვხვდებით ქალაქები მრავალთმრავალი
ღალატის შიშის შეგვრჩენია ვართ გამომშრალნი
გულგამთოშავი ძველი წიგნი სიბრძნე-სიგიჟის
ამომავალი გათანგულნი მისით მოვკვდებით
ამ ბრწყინვალებით ვერ იტანენ ამგვარ ვარსკვლავებს
მათი თვალები საჯალათო კუნძზე დაგკლავენ

რადიაციის უდაბნოში მისით მოვკვდებით
გვაქვს გამოვლილი ქალაქები ამომავალი
ილუზიისა, სიამისა სიბრძნე-სიგიჟის
და წყურვილიღა შეგვრჩენია გულგამთოშავი
რადიაციის ალმურია ვართ გამომშრალნი

გადაშლილია ძველი წიგნი ღალატის შიშის
მწვანე ვარსკვლავი ცად მუქარით მრავალთმრავალი
ჩვენი ბედია გათანგულნი ჩვენ ერთურთს ვხვდებით

ქალაქს კი მზერა უბნელდება კუნძზე დაგკლავენ
ქალაქის მკვიდრნი ვერ იტანენ მათი თვალები
ო უკან აღარ მიიხედო ამგვარ ვარსკვლავებს
მიგაბრუნებენ საჯალათო ამ ბრწყინვალებით

. . . . . .

რადიაციის უდაბნოში ჩვენ ვიარებით,
მწვანე ვარსკვლავი თავს დაგნათის ვეებერთელა,
მწვანე ვარსკვლავებს ასხივებენ ჩვენი თვალებიც
და ამ სიგიჟით, ამ მუქარით, ამ ბრწყინვალებით
მიყვარხარ, ლელა!

* * *

ეს ზამთარიც მიილევა
თავის თოვლით, ქარწვიმით:
მოვა ჩემი თეთრი ბელა,
ჩემი თეთრი არწივი.
ჩემო ბავშვო, ჩემო ყველავ,
გან-გან კუშტად დადიხარ,
შე პატარავ უნდობელავ,
იცი, რა დიადი ხარ!
ღრუბლებს მოსდევს და მოფრინავ
ელვის იალკიალით,
იქ მოგწვდება ჩემი გმინვა,
ჩემი ხაფი ღრიალი!
ქარში მოხვალ უცხო ნდობით,
ფრთები აგიკივლდება,
დაჭრილია თეთრი ლომი,
შენი შველა სჭირდება!
მო, თავს ნუღარ დამიძვირებ,
ზეცას გადამიბირე,
ცოცხალ ვიყო, გამიცინე,
მკვდარი ვიყო, მიტირე!
ეს ზამთარიც მიილევა,
თავის თოვლით, ქარწვიმით,
მოვა ჩემი თეთრი ბელა,
ჩემი თეთრი არწივი.

* * *
მე შენ გეძებდი — ნახევარ ვიყავ
სამყაროს დიად მთელს,
იგრაგნებოდა დაჭრილი თიხა
არმაგედონის ცელით.

უღვთოდ დაკარგულ ღვთიურ ნახევარს
გეძებდი ციერ ზექალს:
აჰა, შევყრილვართ — შენი სახე ვარ,
შენი ყანგ-ის ფეთქვა.

წინ, ძვირფასო, ამ მიწას გაცდეთ,
მშვიდად მომენდე, ქალავ,
მომეცი ხელი - ჩვენ ერთად დავძლევთ
მიზიდულობის ძალას.

შორით მაცდური მეცხრე გარსია
და თვითმკვლელობის თქეში;
სიზმრებად მოვალთ ბელლამარსიან —
სამყარო დნება ჩვენში...

ანაბელ

შენ ხარ კრისტალი — ალმასების ბუდეს შობილი.
შენ ხარ სითეთრის სული მშიერი.
იდუმალებით დამარბევენ პირველყოფილით
შენი თვალები — მტაცებლური და ლმობიერი!
შენ ხარ კრისტალი — ალმასების თეთრი დობილი.

წუთით, როდესაც გაგექცევა სადავე სისხლის
და გაგერღვევა სიმორცხვე ურჩი,
შენი ველური, წმინდა კისკისი
ჩინურ ნემსებად მესობა სულში,
წუთით, როდესაც გიფეთქდება მცინარი სისხლი.

მაგ ხმაში ვიჭერ ღვთიურ სიგნალს ხელშეუხებელს
და მსურს ვთქვა სიტყვა პირველადი, ადამის სიტყვა,
მსურს დავიჩოქო, მოგეხვიო ძლიერ მუხლებზე
და შევღაღადო მთელ სამყაროს: «ეს ქალი მიყვარს!»
მაგ ხმაში ვიჭერ ინის სუნთქვას ხელშეუხებელს...
და შენ ხარ ქალი. მარადისი შენშია დაო,
შორია იგი, მაგრამ შენშია.
იგია ძილი, შენდობაა და ნუგეშია,

მორჩილებაა უცნობარი და არრას დაობს;
და მე ვარ შენი,
მარადისი სული ჩვენშია,
ჩვენშია დაო...

მომაკვდავი ნიღაბი ითხოვს პატიებას

პატიებას გთხოვ, რადგან მიყვარდი...
(შეურაცხგყოფდი თურმე!)
პატიებას გთხოვს ჩემი ნიღაბი,
ჩემი კეთილი ცრუ-მე...

პატიებას გთხოვს ნიღაბი-მეთქი
(ვინ უწყს, რა ხდება შიგნით);
მოღალატეა ჩვენს შორის ერთი:
დაე, მე ვიყო იგი!
შენს თეთრ ღამეში მე არ მელიან:
აგრე სჭრის ჩემი ბედი,
ეს ბადრი მთვარეც მწვანე გველია
რაღაც სხვაგვარი ხედით!

უცოდველობა რომ დაიჩივლე,
ცოდვას რომ შესთხოვ მიწას,
ჯერ ჩემი გულის გვამი იხილე,
მკვლელის ხელწერა იცან!

დავიკარგები, სადმე შორს წავალ,
სადმე, სამყაროს ბოლოს,
პატიებას გთხოვ, კვლავ რომ ცოცხალ ვარ
(გულს ვასაფლავებ მხოლოდ...)
პატიებას გთხოვ, რადგან მიყვარდი...
(აღარ მიყვარხარ, არა!)
პატიებას გთხოვს ჩემი ნიღაბი,
გარდაცვალების კარად!

თორმეტი ჩვენება

* * *

ზღვაზე ზვიგენმა
მოხუცს თევზი შეუსანსლა რა
მოხუცისაგან იგემა დარტყმა
და ძალზედ მოკვდა
ღორმუცელა ზვიგენი იგი

* * *

კაცმა საზამთრო იპოვა
ნახვრეტი ამოსჭრა
გამოწმინდა შიგნეულობა
მერე შიგ შეძვრა
და იძინა მთელი ზამთარი

* * *

ერთხელ ნასვამი ბაირონი
მრეცხავებს დაეცა დასაპეპლავად
— შოკინგ! — შესძახა მაშინ ინგლისმა
და ახლაც ამას გაიძახის ეს ზრდილი ერი

* * *

ერთხელ ამერიკაში
მერილინ მონროს ქვედა კიდურებზე
შეჩერდა მზერა აკ. ბელიაშვილის

* * *

ასტრალში სამი წლით გასული
იოგის გაშეშებული სხეული
მუთაქად გამოიყენა
მაჰარაჯას უმცროსმა გოგონამ
და სიზმრად ნახა კრიშნა
რომელმაც მას გავაზე უპწკინა

* * *

ხუთი წლის ტონია
თოჯინებს ძუძუს აწოვებდა
როდესაც ის გააუპატიურეს
ექსპერტმა თოჯინას ტუჩებზე
რძის წვეთი იპოვა
და ეს სამხილი
საგამომძიებლო დავთარში
გულმოდგინედ იქნა აღნუსხული

* * *

ერთხელ ბებია ქრისტინემ
ბოსტანში ბარვის დროს
იპოვა ფალოსის ქანდაკება
და ეს ამბავი ქვეყანას მოსდო
მუზეუმელნი თავს დაესხნენ მას
და წაართვეს ეს ექსპონატი
ბებია ქრისტინე

ჯავრისგან მოკვდა

* * *

სანსარა. მაია.
სენსემაია.
მაისის ყანებში კობრა ნაია.
მესიზმრა სიმწვანე უშორეს სფეროთა:
ვესტინდოეთი და ოსტინდოეთი
თეთრსახიანის ჩამოსვლას ელოდა
და მე ვთქვი: მოვედი.
და იმ ჩემს სიზმარში მე ვიყავ სიზმარი
შავთა და წითელთა.

* * *

ქეთო და კოტე შაიბნენ:
საწოლს გაჰქონდა ჭრიჭინი;
საწოლს ქვემოით დაჰქროდა
ვირთხების ჯლიგინ-ჯლიგინი:
ის თავხედები, ისინი!

შაიბნენ ქეთო, კოტეი,
მაშინ გაცოფდნენ ვირთხანი
და მაშინ დასვა ჰამლეტმა
ყოფნა-არყოფნის კითხვანი.

კოტემ აჯობა ქეთოსა:
ააწრიპინა ვირთხულად
და გაექანა ჰამლეტიც
იმ თავის ოფელიასთან;
პრობლემებს ვინღა კითხულობს:
სულ ყველაფერი «იასნა»!

ტრაგედიები დავფუშეთ:
ოლოლო თქვენა, ოლოლო!
თეატრი ერგოთ შავ მუშებს,
ვირთხა კითხულობს მონოლოგს.

* * *

პეპლიდან მუხლუხომდე პაწია კვერცხია
მუხლუხოდან პეპლამდე მოზრდილი პარკი
შემობრუნება 360 გრადუსით
სამყაროს ციკლური განვითარება
დიადი წრე.

* * *

სამყარო გაიდღაბნა
ხედვის ფოკუსი მოიშალა
როდესაც ალბერტ აინშტაინმა
მაღლა ახედვა მოიგუნება

ეფხია-ჯარჯი მარსიაულის სიმღერა

(პეპელა იორდანიშვილის მიმართ)

სიზმრად მოგივალ ხშირადა
ომში ნაქები, ძლიერი,
დაეფეროდის ჩირაღდანს
შენი საწოლის იერი.
ცრემლი გაუშრეს ავდარსა,
ჯავრით ნაჟური, ვერაგი,
ღამემ შეგმოსოს პატარძალს
ვარსკვლავთ-მარეხის პერანგი.
შენს თვალთა, ზეცის მოვალეთ,
ვექმნები ამატირადა,
ღიმილსაც არას მოგაკლებ,
სიზმრად მოგივალ ხშირადა!

ბაღი წვიმაში

წვიმა დაიწყო ისევ:
წოწოლა კიპარისებს
ზესამყარომდე ასულთ
თავისდადრეკა არ სურთ
აგრეთვე სექვოიებს
თავაღერილებს მარად
წვიმა ვერ უცვლის იერს
სიცივეც უჩანთ არად.
დგანან, გარინდულ წვეროთ
წეროს გადუვლის გუნდი
წვიმებში უნდა ვზვეროთ
დღეთა მსვლელობის მრუდი.
წვეთავს დაბინდულ ველობს
უნდო წყალობა ცისა,
თუნდაც დაწყვილებით გვევლო
ვერ ვეწეოდით მიზანს.

ფარდა ძირს იწევს წვიმის
მიწისპირს ლოკავს ლაღი
მუქი სიმწვანე ჭვივის
ეგზოტიკური ბაღის
ჭილყვავთ ეპკურა ეგზომ
ზონტიკურ წიწვთა გაცრით
არც ისე უმიზეზო
ცის სინოტივე მკაცრი\
ჭილყვავებს ვგავართ ჩვენაც
ცალ-ცალკე გვალტობს წვიმა
დადუმებულა ენა
ქნარის გაწყვეტილ სიმად.

სილოვანის თოხნური

სილოვანი ყანაში
თოხს იქნევდა მოროდის.
ჟამი იყო სამხრისა —
კურთხეული, ბოროტი.
სილოვან მაკარის ძემ
სიმღერა თქვა იოლი:

«წინ დაურგავს ნიორი,
ამოსულა ნიორი
ვაი თუ ამოჩნდა მისგან
წითელი ბატონები!»

სხვა ჰანგებიც შემოსძახა
ერთობ მოსაწონები
(განაცვიფრა მან ხომული
ინტეგრალურ გონებით):
«ამიერისა,
რუსთაველისა!..»

ფშვიტინ-ფშვიტინი.

ურანის დაშლა

გაიფანტება თბილი ბურანი
და სჩანს სიცხადის მუნჯი კედელი,
ბედისწერაა ჩვენი ურანის
დაშლის პროცესი განუწყვეტელი.

იგი ბოროტი არის მადანი:
მომაკვდინებლად მსჭვალავს და ათბობს,
გამოასხვებს ნებას სატანის,
მოწამლულ ცას და უხილავ მნათობს.
რეაქციების ჯაჭვურ ვნებასთან
სახიფათოა უკვე თამაში,
ავ წინათგრძნობას ახდენა ნებავს
და იგრაგნება ბირთვი პლაზმაში.
ტალღებად უვლის საშიშ ქარაფებს
მონატრებული ყვავის ჩხავილი,
ამოუზრდია მოკლულ არაფერს
ფოლადისფერი კვამლის ყვავილი.
სიზმრად რომ ექცა ქრობას ასტრარულს
(ბასრ მესიტყვედ რომ ყავს ადრეული)
ივერიაა უდასასრულო.
თხრის რუდუნებით წაშლილ საფლავებს
კრანიონიზნის ადეპტი მძლავრი,
ფრთხილად! მანდ იქნებ კაცი არცა წევს,
იქნებ დაღლილი წევს დინოზავრი!
ჭკვაში უჯდება ჩვენი ტყე-ველი,
ერთ დროს ვინც იყო დენდი ნილოსის,
საკუთარ ბუზის სპილოდ მქცეველი,
ბუზად მქცეველი სხვისი სპილოსი.
ეგ მოსაწონი გახლავთ აქცია:
შენც ტრუბადურის გედოს იერი,
მთავრდება გონით სპეკულაცია
იწყება მიჯნა ქვეცნობიერის.
იწყება ბნელის ულმობელობა,
ჩამოქვეითდა შავი მხედარი,
მაგრამ მანდ ლომის სამფლობელოა,
ლომები ბნელსი კარგად ხედავენ!
მანდ საიდუმლოც ბევრი მარხია,
შიშის კედლებს რომ მარად ეხლება,
ნადირის ნზერა გამჭრიახია,
მარწუხებივით სწვდება ხერხემალს!
ანიმალური ზონა ურანის
ანომალიის ამჟღავნებს სინდრომს,
სულ გაფანტულა თბილი ბურანი,
ბრმა ერთგულებად რომ გვეკრა იმ დროს.
აქ ბევრი უნდო ვნება იგულვის:
ზოგი გვახელებს კატის ზმორებით,
ზოგი წამოხდილ კაბით დიდგულობს,
ზოგიც ცხოვრებას იმკობს ჭორებით.
ზოგით ოცნებით არის ჰეტერა,
ცასაც ახედავს ზოგი ვედრებით,
ერთიმეორეს გადაემტერა

უარყოფითი მუხტი მდედრების.
ჰეი, მდედრებო, გასაკვირია
ამ დროს სიმშვიდე თქვენი მხედრების,
რაც უნდა ბევრი ემანსიპიროთ,
მეუფეს მაინც ვერ სეედრებით!
შემოუშენე თავხედ სიმორცხვეს
ნაზი როკოკო, მკრთალი ამპირი,
ჰანუმ ეგ ბუჩქი გადაივარცხნე
და შეასრულე როლი ვანპირის.
იჩქარე, თორემ დაჭკნება ხორცი,
დარწმუნებული იყავ ამაში,
ხანმოკლე არის ყვავილთ სიცოცხლე,
უკვე მთავრდება შენი თამაში!
ვინც ყვავილობას ზურგი აქცია,
სანაგვე ურნად დღეს თავს იგულვებს,
ეგ კი ვერ გახლავთ კარგი აქცია,
უგუნურება რომ გვადიდგულებს.
რაგინდ უზომო ჩქეფდეს სიშმაგე,
ქალი მარადის დარჩება ქალად,
ჩამოიცლება ტანი ეშმაკის
და გამთელდება კვლავ თავისქალა.
შენ კი... ზეცას რომ ხაფად შერისხავ,
დედალ არწივის რომ გდევს იერი,
მღვრიე მორევში წმინდა ჩქერი ხარ,
მხოლოდ სენ ერთი ხარ მშვენიერი!
სულ სხვაა შენი ფრთების სიშმაგე,
სხვაგვარი ვნებით ხარ დაისრული,
უხამს მიწასთან არ გაქვს სენ საქმე,
სავარსკვლავეთოს ფრენს შენი სული!
Anima bella!
დამემხო ყველა
ამბორსაყოფი და საესავი
და სენი თეთრი სულიღა ელავს
და მხოლოდ შენში ვცან ნათესავი...
მომეახლე და მფინე ნათელი —
ეგ ასტრარული ფერი არყოფნის;
შეხედე ჩემს სულს — ნაგვემს, გათელილს,
უხამს ღალატით შეურაცხყოფილს...
ჯვარს ხომ ბოლომდე უნდა ატანა,
სისხლსაც გროვება უნდა პეშვებით,
მაგრამ დაღლილი ღმუის სატანა
და შიშვლდებიან ავი ეშვები!
გენიალური გახლავთ აქცია:
შენივ ქმნილება გაინაპირო —
თუ საჭირო, მე თვით დავაქცევ
საკუთარ ხელით ნაგებ ბაბილონს!

არ მობრუნდება თბილი ბურანი,
სული მძვინვარებს საშიშ ტყე-ველის,
მედგრად გრძელდება ჩვენი ურანის
დაშლის პროცესი შეუქცეველი.
გრძელდება ბნელის ულმობელობა,
თავისას ითხოვს მღვრიე მორევი,
მაგრამ აქ ლომის სამფლობელოა,
კარგად ხედავენ ბნელში ლომები!

მაისის მოსვლა დაჭრილთან

აპრილი წავიდა მოვიდა მაისი
მე ვიყავ დაჭრილი. გათენდა ლურჯად
ღაჟღაჟა მზე და ფერმკრთალი მთვარე
შორიშორ ისხდნენ
                    იღიმებოდნენ მუნჯად

დღემ მთვარიანმა წუხილი იცის
იყავი სორს და იღიმებოდი ურჩად
და ვით ღრუბელი ვერ იმაგრებს
                    ხანდახან სიცილს
ბავშვები მოჰფენოდნენ ქუჩას

ხოლო მამალი ყიოდა მედგრად
ქორი ელვარებდა მაისის ცაში
მე სასთუმალი აივანს მედგა
                    ლამაზი ბავშვით

* * *

ღამით ტრასაზე
ერთიციცქნა სულთმობრძავი სინათლე გდია —
ციცინათელა გაუტანია მანქანას.

* * *

ფრთხილად,
ფრთხილად იარე, ფეხშიშველა ჩემო ჩამოსულო —
ქვეწარმვალნი ემაგ ველზე მრავლად არიან...

ავტორის ბოლოსიტყვაობა

მკითხველმა რომ თავიდან ბოლომდე გულდასმით, დაკვირვებულად წაიკითხოს ეს წიგნი და სცადოს ავტორის სტილზე, წერის მანერაზე საკუთარი აზრის ჩამოყალიბება, ალბათ გვარიანი თავისტეხა მოუხდება და გამორიცხული არაა, ასეთი ფიქრიც კი გაუჩნდეს — ეს კრებული მართლა ერთ ავტორს ეკუთვნის თუ სახელი «მარსიანი» რამდენიმე, ერთმანეთისაგან ფრიად განსხვავებული ხელწერის მქონე პოეტის პირობითი, კრებითი სახელია? მე ვიმეორებ, ასეთი ფიქრი შეიძლება გაუჩნდეს ამ კრებულის დაკვირვებით წამკითხველ და ლიტერატურული სტილის საკითხში პროფესიონალურად ჩახედულ კაცს და არა ზერელედ გადამკითხველ პროფანს, რომელიც მსგავს რამეებს, უბრალოდ, ვერც კი აღიქვამს.

მე არ ვეკუთვნი იმგვარ პოეტთა რიცხვს, რომელთა შესახებაც ხაზგასმით ამბობენ — «საკუთარი სტილი აქვს», «განუმეორებელი თვითმყოფადობით გამოირჩევა», «მისი ლექსი სხვისაში არ აგერევა» და ა. შ. კრებულსაც ამიტომ მივეცი, ცოტა არ იყოს, ახირებული სახელწოდება «ლიროეკლექტიკა»: მე მართლაც ეკლექტიკოსი თუ «ესთეტიკური მოხეტიალე» უფრო მეთქმის — ისეთი შემოქმედებითი ნატურა, რომელიც დაურიდებლად იჭრება სხვათა «ტერიტორიებზე»; შესაძლოა არაერთი ჩემი ნაწარმოები ფორმა-შინაარსით თვალშისაცემად ორიგინალური, გნებავთ, ზეორიგინალურიც კი იყოს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ამ «ორიგინალობათაგან» რაღაც ერთიანი, მონოლითური სტილი თუ მანერა იქმნება; ავიღოთ, მაგალითად, ლექსები «არიელ», «ზაუმი (სომნამბულური)», «ზაუმი (ჰაერის რხევა მზის ამოსვლისას)», «მწვანე ვარსკვლავი (ჯაჭვური რეაქციები)», «ნამდვილი ამბავი», «ნარკორგიასტული სონატა», «ელორა», «ალუზიები»... ალბათ პრაკტიკულად შეუძლებელია, ჩამოთვლილი ნაწარმოებები რაღაც გამოკვეთილი სტილური ნიშნით გაერთიანდეს; ორიგინალურობას ნამდვილად არაა მოკლებული არცერთი მათგანი, ოღონდ ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ სიბრტყეებზე ჩანს მათი ორიგინალურობა. ხსენებული სიბრტყეები ზოგან გადაჰკვეთენ ერთმანეთს, ერთ სიბრტყედ კი არასოდეს ერთიანდებიან. წიგნში უფრო მრავლადაა წარმოდგენილი კლასიკურ სტილში დაწერილი ლექსები, მაგრამ მათ შორისაც ხშირია მკვეთრი შინაარსობრივი თუ სტილური განსხვავება. თუნდაც სონეტები ავიღოთ და ერთმანეთს შევადაროთ, მაგალითად «სონეტი მამას», «გამოცხადების სონეტი», «განკითხვის სონეტი», «სონეტი კოშკზე», «სონეტი გველეშაპზე», «ირმის თვალები...» «შენ რომელი ხარ...» ეს ნაწარმოებებიც ძნელად მოთავსდება ერთ სიბრტყეზე, თუ «სიბრტყედ» თვით სონეტის ფორმას არ ვიგულისხმებთ.

დაკვირვებული მკითხველი ალაბთ აღმოაჩენს, რომ ამ წიგნში მრავლადაა ე. წ. «მეორეული გადამუშავების» მაგალითები. ადვილი არაა ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს საკუთრივ ავტორისეული და სხვათაგან ნასესხები მოტივები, რიტმები, ინტონაციები, ხატები, სტილური ეფექტები. ჩვენში ძნელად ეგუებიან მსგავს ესთეტიკურ თამაშებს, მოჭარბებულ კულტურალიზმს. ჩვენეული კრიტერიუმები ნაწარმოების შეფასებისას დიდად არ სცდება «ცრემლის», «ძარღვის», «ნერვის», «გულის», «ჯიგარის», «ფესვის», «სინაღდის», «მიწაზე დგომის» და მისთანათა არეალს; არის აგრეთვე მკვეთრად განსხვავებული

ტენდენციაც — ე. წ. «აზროვნების», «ზუსტი აზრის გამოკვეთილობის» გვარიანად უაზრო მოთხოვნა; მსგავსი კრიტერიუმები თუ ტენდენციები მათ მიმდევართა გემოვნების ცალხმრივობაზე, ხედვის სივიწროვეზე მიმანიშნებელია: შეზღუდული გემოვნება რაღაც ერთ, ვითომ უტყუარ კრიტერიუმს ჩაეჭიდება, ხედვის ერთ კუთხეს მიაცივდება და აიკვიატებს, სხვა ყველაფერი კი, რაც ამ ჩარჩოებს სცდება, უნაყოფო ჟონგლიორობად, ლიტერატურულ ვარჯიშად თუ ლიტერატურშჩინად უჩანს; ერთ ლექსში ვწერ — «მხოლოდ მარსიანს ხელეწიფება მრავლისმრავალი გარდასახვანი» და სწორედ ამიტომაც, ეგ ხომ «ხელმეწიფება», გარანტირებული მაქვს ლიტერატურული საზოგადოებისაგან ვერგაგება და იგნორირება.

მაგრამ მთელი ამ «ჰეტეროგენული» პროდუქციის ერთ კრებულში თავმოყრა ცალკეულ, გამგებ მკითხველს მაინც დააყენებს ფაქტის წინაშე — თურმე შესაძლებელი ყოფილა ერთი და იმავე ავტორის კალამს ეკუთვნოდეს ერთის მხრივ მისტიკურ-მეტაფიზიკური «წამი», «ესქატოლოგიური ელეგია», «გამოცხადების სონეტი», «სევდისთვალება ანგელოზო...» და მეორეს მხრივ გროტესკულ-აბსურდული «უაზრობის აპოთეოზი», «ქალბატონმა ნ. ო.-მ ამასწინათ...», «ნადეჟდა დეიდას შაბათ საღამოს...» ან, ერთის მხრივ ნეოკლასიცისტური ფორმის, პათეტიკური (პომპეზურიც კი) «უკანასკნელი ჟამი» და მეორეს მხრივ გამოგონილი, ბუნებაში არარსებული სიტყვებით შედგენილი ფუტურისტული ტექსტი «ზაუმი (ხამანწკების ჭამა დოლების ხმაზე)»; ან კიდევ, ერთის მხრივ სიყვარულის კოსმიური საგალობლები «ჩემო ქალღმერთო», «სონეტი კოშკზე», «პლანეტა ლელა», «ელორა», «ანაბელ» და მეორეს მხრივ კამერულ-ინტიმური, მსუბუქ-სატრფიალო «მინიატურულო ქალო...» მსგავსი შეპირისპირებანი ამ წიგნში ალბათ უსასრულოდ შეიძლება. და ყოველივე ამის სათანადო გააზრების შემდეგ შეიძლება რაღაც განსაზღვრებაც მოიძებნოს იმ ფენომენისა, რომელსაც ჰქვია მარსიანი.

შინაარსი

სერგი ლომაძე
თანამედროვე ხელოვნების დიდოსტატი;
ანამაისი;
შორით ფიქრი ლორდ ბაირონზე;
როს განვიძარცვე;
ნარკორგიასტული სონატა;
წამი;
უცხო პლანეტა;
პლანეტა ლელა;
ზაუმი (სომნამბულური);
ზაუმი (ხამანწკების ჭამა დოლების ხმაზე);
ზაუმი (ჰაერის რხევა მზის ამოსვლისას);
ზაუმი (სოკოების ამოსვლა);
ზაუმი (სლავოფილოლოგია);
მე;
ტრიოლეტები;
რა კარგი იყავ, სიყვარულო;
ელორა;
მძიმე მარხვაა;
არიელ;
ოდა ვარდისფერს;
** * * *(მხოლოდ მარსიანს ხელეწიფება...);
იგი;
გამოცხადების სონეტი;
სონეტი გველეშაპზე;
სონეტი კოშკზე;
განკითხვის სონეტი;
სონეტი მამას;
* * * (შენ რომელი ხარ...);
სონეტები ჩემს იისფერ მუზას;
ჩემო ქალღმერთო!;
ია;
უცხო ყვავილი «კავკასიური სახლის» ეზოში;
მეჰრიბს — აზერბაიჯანელ მზეთუნახავს;
* * * (ირმის თვალები...);
ირა — სიზმარი;
ირასიზმარი — ირამზისარი;
ოდა ბელას;
* * * (ოლიგოფრენმა და ფრენოლოგმა...);
* * * (მზერას ედება მკვლელი ამბორით...);
* * * (აქ რომ თამაშით...);
* * * (იამ გაიცინა ცამდე...);

ესქატოლოგიური ელეგია;
* * * (სევდისთვალება ანგელოზო...);
* * * (სამყაროს ვარდმა...);
* * ** (თავისქალიდან ღრუბლებს მიდენი...);
სასტუმრო «ორმუტსას». ქალწულის ჩურჩული;
სონეტი არაფერზე;
გარღვევისა და ხილვის სონეტი;
სარკე და ვარდი;
ცირა;
* * * (მე მიგიყვანე...);
* * * *(მე რომ მომკალი...);
ქალბატონ ლონდას ქალიშვილი;
უკანასკნელი ჟამი;
* * * (ნადეჟდა დეიდას...);
ბალადა ჯელტმენის შვილზე;
* * * (ქალბატონმა ნ.ო.-მ...);
ალუზიები;
გიორგი კორნაპელს;
ბალადა გიორგი კორნაპელზე;
* * * (წუხელ სიზმარში...);
* * * (უნგრელთ ნანგრევებზე...);
* * ** («სალამი სევდავ!»...);
დალის ლექსი;
* * * (— ადამიანობაა ეს ცხოვრებ...);
* * * (აღარ ვარ ბავშვი...);
ნამდვილი ამბავი;
მწვანე დიალოგი;
** * ** * (რა უგუნურად იყავ კეთილი...);
მედიტაციები;
არ დამიჯერე;
დიდი მაია;
* * * (სიზმრის კარები დამიღია...);
მწვანე ვარსკვლავი;
* * * (ეს ზამთარიც მიილევა...);
** * * (მე შენ გეძებდი...);
ანაბელ;
მომაკვდავი ნიღაბი ითხოვს პატიებას;
თორმეტი ჩვენება;
ეფხია-ჯარჯი მარსიაულის სიმღერა;
ბაღი წვიმაში;
სილოვანის თოხნური;
ურანის დაშლა;
მაისის მოსვლა დაჭრილთან;
* * * (ღამით ტრასაზე...);
* * * (ფრთხილად...);
ავტორის ბოლოსიტყვაობა.